ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

3 თებერვლიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
გაიყიდება
რჩეული ქართული ზღაპრები ტომი 2
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი



ორშაბათი, 3 თებერვალი, 2014 №27 (6338) ფასი: 30 თეთრი

# გია ვოლსკი: „ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდება!“

გვ.4



რაში არ ეთანხმება ხელისუფლებას დავით ზურაბიშვილი

## სანდრო ბრეგაძე: „თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება“ დაიშლება“

გვ.3



რატომ გაურბოდა ვანო მერაბიშვილი ელიზბარ ჯაველიძეს

## ირაკლი ღარიბაშვილი: „სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა რთულად გადასაწყვეტი საკითხი იყო“

გვ.2



### მანანა ნაჭყებია: „მოქმედმა ხელისუფლებამ ვერც ერთი საქმის გამოძიება ვერ შეძლო“

გვ.5

ვის აწევს ზურგზე ბიძინა ივანიშვილი



### თემურ შაშიაშვილი: „26 მაისს პოლიციელი სამართალდამცავებმა თავად მოკლეს“

გვ.4



### ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება არ დაიწყო, აქციებს გავმართავთ!“

გვ.7

### ახალი ფრონტის ხაზი – არასამთავრობო სექტორი

გვ.6



### ირაკლი ალასანია: „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე რუსეთთან ურთიერთობაში პროგრესს ვერ მივაღწევთ“

გვ.2



გვ.3



### საქართველოში ყინვები გაძლიერდება

ISSN 1987-9385

2 ილია მეორე: „ყველაზე ნაყოფიერი შუადღემდე გაკეთებული საქმეა“

3 გიორგი კანდელაკი: „ღარიბაშვილს მიუნხენში ოკუპაციის პრობლემაზე თითქმის არ უსაუბრია“

2 სოფიკო ქიაურელის სკულპტურული კომპოზიციის გაქურდვაში ბრალდებული დააკავეს

6 მოსკოვი ცხინვალს საგარეო პოლიტიკას უწუნებს

# ილია მეორე: „ყველაზე ნაყოფიერი შუადღემდე გაკეთებული საქმეა“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ, საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებაში დროის ნაყოფიერად გამოყენების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ჩვენ დროის ფასი არ ვიცით.

პატრიარქმა დროის დაფასების თვალსაზრისით გერმანიის მაგალითი მოიყვანა, სადაც მისი თქმით, პროფესორი მუშაობას ადრე დილით, 6-7 საათზე იწყებს.

„ყველაზე ნაყოფიერია შუადღემდე გაკეთებული საქმე. შრომა დაკავშირებული უნდა იყოს დროსთან. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ადრე დაწოლა და ადრე ადგომა. ეს ძნელია, მაგრამ საჭიროა ჩვენი ცხოვრებისა და მომავლისთვის“ – აღნიშნა ილია მეორემ.

მისი თქმით, ჩვენ თავისუფალი ცხოვრება, ზედმეტი გართობა, სიხარული, მწუხარება გვახასიათებს და ზომიერება გვაკლია.

„ღვთის მადლით აუცილებლად გამოვსწორდებით და კალაპოტში ჩავდგებით, გამოსწორება ჩემგან უნდა დაიწყო, მერე თქვენც გამოსწორდებით“ – ბრძანა უწმინდესმა.

ნიუსპრესი

# „პეგასუსის“ თვითმფრინავი ასაფრენ ბილიკზე მოცურდა

თბილისი–სტამბულის რეისი გადაიდო. მიზეზი „პეგასუსის“ თვითმფრინავის ასაფრენ ბილიკზე მოცურება გახდა.

შემთხვევიდან რამდენიმე ხანში ადგილზე საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლები გამოცხადნენ და თვითმფრინავი საწყის პოზიციაზე დასვეს. მგზავრები კი ავტობუსების საშუალებით ტრანზიტულ ზონაში გადაიყვანეს, სადაც დაახლოებით 3 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

მედიანიუსი

# ბათუმში კერძო იპოთეკური სესხებით დაზარალებულებმა სახალხო მოძრაობა ჩამოაყალიბეს

ბათუმში, კერძო იპოთეკური სესხებით დაზარალებულებმა სახალხო მოძრაობა ჩამოაყალიბეს და ევროპის მოედანზე კარავი გაშალეს. აქციის მონაწილეები კარავში, ყოველ დღე 15:00-დან 18:00 საათამდე მხარდამჭერების ხელმოწერებს შეაგროვებენ.

დაზარალებულები ამბობენ, რომ ხელისუფლება, დაპირების მიუხედავად, მათ არ დაეხმარა. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ისინი რეჟიმის მსხვერპლნი არიან.

„შეგროვებულ ხელმოწერებს პარლამენტს წარვუდგენთ და დავამტკიცებთ, რომ ვართ რეჟიმის მსხვერპლნი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს რეჟიმი ახლაც გრძელდება. ჩვენი მოთხოვნები მასშტაბური გახდება. სანამ ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორებას არ მივაღწევთ, მანამდე არ გავჩერდებით,“– აცხადებენ აქციის მონაწილეები.

საზოგადოებრივ მოძრაობას ყოფილი პოლიტპატიმრების ნაწილი და აჭარაში მოქმედი 14 საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეუერთდა.

მედიანიუსი

# ირაკლი ალასანია: „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე რუსეთთან ურთიერთობაში პროგრესს ვერ მივაღწევთ“



თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე რუსეთთან ურთიერთობაში რაიმე პროგრესის მიღწევა წარმოუდგენელია. ამის შესახებ ალასანიამ მიუნხენში განაცხადა, სადაც ის პრემიერთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად იმყოფება. ქართული დელეგაციის მიერ სამი დღის განმავლობაში გამართული შეხვედრების მთავარი თემა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ასევე, ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი და მავთულხლართების გავლება იყო.

თავდაცვის მინისტრის თქმით, საქართველოს მთავარი ამოცანაა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობასთან შერიგება.

„აფხაზებისა და ქართველების, ოსების და ქართველების შერიგება, ჩვენი და ჩვენი ევროპელი პარტნიორების მთავარი ამოცანაა. ისინი დაგვეხმარებიან, რომ ეს შერიგების პროცესი ბევრად უფრო სწრაფი იყოს. სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე, დარწმუნებული ვართ ჩვენც და ევროპელებიც, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე პროგრესის მიღწევა რუსეთთან ურთიერთობაში“ – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ქართული დელეგაცია და პრემიერ-მინისტრი მიუნხენში გამართულ შეხვედრებს ნაყოფიერს უწოდებენ.

ნიუსპრესი

# ირაკლი ღარიბაშვილი: „სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა რთულად გადასაწყვეტი საკითხი იყო“



პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობა რთულად მისაღები გადაწყვეტილება აღმოჩნდა.

მისი თქმით, საქართველომ რუსეთს უსაფრთხოების თვალსაზრისით, თანამშრომლობაც შესთავაზა. ამის შესახებ პრემიერმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა.

„გადავწყვიტეთ ბოიკოტი არ გამოგვეცხადებინა სოჭის ოლიმპიადისთვის და ვაგზავნით ჩვენს სპორტსმენებს, გუნდს სოჭში. ძალიან ძნელი გადაწყვეტილება იყო, რადგან მოუგვარებელი პრობლემები და კონფლიქტები გვაქვს, რომლის გამოც, ფაქტიურად ჩვენი ძმები – აფხაზები და ე.წ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, მოწყვეტილები არიან საქართველოს. შევთავაზეთ რუსეთს თანამშრომლობა უშიშროების სფეროში, შესაბამისად ქართულმა მხარემ მთელი რიგი კონსტრუქციული ნაბიჯები გადადგა“– განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

„საქართველოს მისწრაფება ევროკავშირისკენ, რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს, ჩვენ უბრალოდ ვცდილობთ გავხდეთ უკეთესი ქვეყანა, გვინდა ვიქცეთ ძლიერ, თავისუფალ, დემოკრატიულ-ევროპულ ქვეყანად და ეს როგორც წესი, რუსეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს, რადგან მას სტაბილური, მყარი მეზობელი ქვეყანა ჰყავდეს“-განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ყურადღება გაამახვილა ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებზეც და აღნიშნა, რომ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში, წინგადადგმული ნაბიჯია

ნიუსპრესი

# საქართველოს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, გერმანია, როგორც ნატო-ს წევრი ქვეყანა, საქართველოს ევროინტეგრაციას მხარს უჭერს. ამის შესახებ მაია ფანჯიკიძემ ქართული დელეგაციის გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრთან ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მაია ფანჯიკიძის თქმით, გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ფრანგ კოლეგასთან ერთად, სავარაუდოდ, საქართველოში მარტში ჩამოვა.

„გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრა, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ფრანგ კოლეგასთან ერთად, საქართველოს მარტის თვეში ესტუმრება. ეს უნდა გავიგოთ როგორც ძალიან მკაფიო სიგნალი, იმისა რომ საფრანგეთი და გერმანია, როგორც ნატო-სა და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, მხარს უჭერენ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. შეხვედრაზე, რა თქმა უნდა, ორმხრივ ურთიერთობებზე ვისაუბრეთ“-განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ქართული დელეგაცია, პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მიუნხენში იმყოფება, სადაც არაერთი ორმხრივი შეხვედრები გაიმართა. პრემიერმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. ვიზიტი უკვე დასრულებულია. როგორც ღარიბაშვილმა ვიზიტის შეფასებისას აღნიშნა, გამართული შეხვედრები ნაყოფიერი იყო, სადაც კიდევ ერთხელ გამოიკვეთა დასავლეთის მხარდაჭერა საქართველოსადმი.

ნიუსპრესი

# ქურდობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დავით ა. ქურდობის ბრალდებით თბილისში, ხერხეულიძის ქუჩაზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 31 იანვარს, გამთენიისას, თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე აღმართული სოფიკო ჭიაურელის სკულპტურული კომპოზიციის შემადგენელი ერთ-ერთი ქანდაკება მოიპარა. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დავით ა. დანაშაულის ჩადენიდან მეორე დღეს დააკავეს. დაკავებულის საცხოვრებელი სახლის სარდაფის ჩხრეკისას ნაქურდალი სკულპტურა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს -საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ნიუსპრესი

# შსს-მ არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი რამილი ა. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-დამზადების ბრალდებით დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას არარეგისტრირებული „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც კუსტარული წესით აქვს დამზადებული ლულა, დგუში და გაზის წვის კამერა, 126 საბრძოლო ვაზნა, 3 მჭიდი და „ეფ 1“-ის ტიპის 2 ხელყუმბარა ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-დამზადების ფაქტზე მიმდინარეობს -სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით

ნიუსპრესი

# პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე სამი პირი იქნა მხილებული

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ახალციხის და ასპინძის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ფაქტზე 1963 წელს დაბადებული ია ბ, 1965 წელს დაბადებული არუთუნ ი. და 1949 წელს დაბადებული ნაზი ნ. ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სალომე ნ. დაბა ასპინძაში სასტუმროს ნომრებს, არუთინ ი. ქალაქ ახალციხეში აბანოს, ხოლო ახალციხის მცხოვრები ია ბ. საკუთარი საცხოვრებელი სახლის ოთახებს პროსტიტუციისათვის აქირავებდნენ. გამოძიების ფარგლებში, აღნიშნულ დაწესებულებებში მომუშავე 15 ქალბატონი მოწმის სახით დაიკითხა. გამოძიება პროსტიტუციისათვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს – საქართველოს სსკ-ის 254-ე

ნიუსპრესი

# სოფიკო ჭიაურელის სკულპტურული კომპოზიციის გაქურდვაში ბრალდებული დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტრომ სოფიკო ჭიაურელის სკულპტურული კომპოზიციის შემადგენელი ქანდაკების მოპარვაში ბრალდებული დააკავა. უწყების ინფორმაციით, შსს-ის თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დავით ა. ქურდობის ბრალდებით თბილისში, ხერხეულიძის ქუჩაზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 31 იანვარს, გამთენიისას, თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე აღმართული სოფიკო ჭიაურელის სკულპტურული კომპოზიციის შემადგენელი ერთ-ერთი ქანდაკება მოიპარა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დავით ა. დანაშაულის ჩადენიდან მეორე დღეს დააკავეს. დაკავებულის საცხოვრებელი სახლის სარდაფის ჩხრეკისას ნაქურდალი სკულპტურა ნივთმტკიცებად ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1 ნაწილით, ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს.

მედიანიუსი

# უკრაინაში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

უკრაინაში ავტომობილების დაწვის ბრალდებით, საქართველოს მოქალაქე დააკავეს. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მათთან ბოლო დროს ხშირად შედის ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებების დაწვის შესახებ. მხოლოდ ბოლო ღამის განმავლობაში უკრაინის მილიციაში სატრანსპორტო საშუალებების დაწვის შესახებ რვა შეტყობინება შევიდა.

„წუხელ მილიციამ საქართველოს 26 წლის მოქალაქე დააკავა. დაკავება მაშინ მოხდა, როდესაც ის კიდევ ერთ პირთან ერთად სამართალდამცავებისგან გაქცევას ცდილობდა. დაკავებულის განცხადებით, ყველა ავტომობილის დაწვისთვის შემკვეთები 37 დოლარზე მეტს უხდიდნენ. ახალგაზრდა მამაკაცმა ასევე აღნიშნა, რომ 26 წლისაა და საქართველოს მოქალაქეა. ის უკრაინაში სამუშაოს საძებნად დაახლოებით ორი თვის წინ ჩამოვიდა. გამომდინარე იქედან, რომ დაკავებულს თან არ აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, მილიცია მის ვინაობას ადგენს“, – ნათქვამია უკრაინის მილიციის განცხადებაში.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# საქართველოში ყინვები გაძლიერდება



საქართველოში ყინვები გაძლიერდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ინფორმაციით, სიცივე საქართველოში 5 თებერვლამდე გაგრძელდება დედოფლისწყაროში ჰაერის ტემპერატურა -9; საგარეჯოსა და სიღნაღში -8, ყვარელსა და ლაგოდეხში – 6, წალკაში -13, გუდაურში -18, ბაკურიანში -10, თბილისში – 6 დაფიქსირდა. ამაღამ თბილისში -10 გრადუსი ყინვა, ხოლო შემდეგ დღეებში -12 გრადუსი იქნება. აღმოსავლეთ საქართველოში ღამით საშუალო ტემპერატურა -13-20 გრადუსი იქნება და შემდეგ დღეებში ასევე მცირედით მოიმატებს. დღისით კი ჰაერის ტემპერატურა 0 გრადუსზე დაბალი იქნება. ყინვიანი ამინდები აღმოსავლეთ საქართველოში 5 თებერვლის ჩათვლით შენარჩუნდება. შემდეგ ჰაერის ტემპერატურა შედარებით შერბილდება. დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში ჰაერის ტემპერატურა ღამით 0+3; სამეგრელოსა და იმერეთში ღამით ყინვები დაფიქსირდება -3;-6. დასავლეთ საქართველოში დღის ტემპერატურა კი 0+5 გრადუსი იქნება. ამასთან, დასავლეთ საქართველოში და გორი-სურამის მონაკვეთზე 1-3 თებერვალს აღმოსავლეთის ძლიერი ქარი იქროლებს, რომელის სიჩქარე წამში 30 მეტრს გადააჭარბებს.

პირველი რადიო

# მედიკოსები მოსახლეობას მოყინულ გზებზე გადაადგილებისას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ

გზების მოყინვის გამო ექიმები მოსახლეობას სიფრთხილისკენ მოუწოდებენ და ურჩევენ, აუცილებლობის გარდა ქუჩაში სიარულისგან თავი შეიკავონ. უამინდობის გამო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებები და ფიზიკური ტრავმების შემთხვევები გახშირდა.

როგორც სასწრაფო დახმარების ექიმმა აღნიშნა, გასული დღე-ღამის განმავლობაში, 53 გამოძახება დაფიქსირდა, რომლებიც ძირითადად კიდურების მოტეხილობას და თავის ტრავმებს ეხებოდა.

გარდა ამისა, გამოძახებების რაოდენობამ საგანგებო სიტუაციების სამსახურშიც იმატა. საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსის თემურ გიორგაძის თქმით, გასული დღე-ღამის განმავლობაში, მათთან 65 შეტყობინება შევიდა.

მისივე თქმით, შეტყობინებები ძირითადი ავტოტრანსპორტის სავალი ნაწილიდან გადასვლას უკავშირდებოდა, თუმცა, არავინ დაშავებულა.

ნიუსპრესი

# გიორგი კანდელაკი: „ღარიბაშვილს ოკუპაციის პრობლემაზე თითქმის არ უსაუბრია"

საპარლამენტო უმცირესობა მიუნხენში უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გამოსვლას აკრიტიკებს. „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერის გიორგი კანდელაკის განცხადებით, დასავლეთისა და რუსეთის სადაო საკითხების ნუსხიდან საქართველოს თემა უკვე ამოვარდნილია და ამას ირონიულად „საქართველოს ხელისუფლების წარმატებად" მოიხსენიებს.

„პრობლემატური პუნქტი მის გამოსვლაში იყო მხოლოდ ის , რომ მან აღიარა გავლენის სფეროების ცნება უკრაინაზე. მან კი ახსენა ოკუპაციის ხაზი მაგრამ არ ჩამოაყალიბა ოკუპაციის პრობლემა და უფრო მეტიც, მან გაიზია მინისტრ ზაქარეიშვილის საზიანო და მავნებლური ხაზი, როდესაც ის ამბობს, რომ კონფლიქტი გვაქვს არა რუსეთთან არამედ ჩვენ აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან. ეს არის სერიოზული პრობლემის მომტანი საქართველოსთვის საერთაშორისო არენაზე",- განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

პირველი რადიო

# სანდრო ბრეგაძე: „თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება" დაიშლება"

## რატომ გაურბოდა ყოფილი პრემიერი ელიზბარ ჯაველიძეს

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ მოძრაობა „ეროვნულების" ლიდერ სანდრო ბრეგაძესთან**

***– მუხროვანის თემა დღეს ერთ-ერთი აქტუალური და სკანდალური საკითხია. პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ეს შეაფასა როგორც შეკვეთილი მკვლელობა. როგორია თქვენი შეფასებები?***

– პირველ რიგში, მე შემიძლია სრულად დავეთანხმო პრემიერ-მინისტრს და განვაცხადო, რომ ეს არის მართლაც შეკვეთილი მკვლელობის ქრონიკა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია ხელისუფლების ზოგიერთი შტოს წარმომადგენლის მოსაზრებანი იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ეს კადრები არაფერს ეუბნება. ამ შემთხვევაში მე ეს ვანო მერაბიშვილის გამართლების მცდელობად უფრო მიმაჩნია, ვიდრე ობიექტურობის დადგენის სურვილად. ღარიბაშვილის მოსაზრება ამასთან დაკავშირებით და მის მიერ გაკეთებული კომენტარი, აბსოლუტურად ადეკვატურია. დიახ, ეს არის მკვლელობა და ეს არის მშიშარა მკვლელის, ვანო მერაბიშვილის მიერ ჩადენილი კიდევ ერთი დანაშაულის ვიდეო კადრები. სიმართლე გითხრათ, მე ასეთი აღშფოთებული დიდი ხანია არ ვყოფილვარ. კიდევ რამდენჯერ აქვს ამ კაცის მსგავს არაკაც მერაბიშვილს ასეთი ფრაზა ნათქვამი – „ორი ტრუპი" მომიტანეთო, ღმერთმა იცის. მე მეზიზღება ის დრო და ჩემს თავსაც ვადანაშაულებ, რომ მიუხედავად 9-წლიანი ბრძოლისა, თავი არ შევაკალით ამ არაადამიანებს და უფრო ადრე არ დავამთავრეთ მათი არსებობა. ალბათ ასე რომ მოვქცეულიყავით, ბევრი ორი ტრუპი და ბევრი დახოცილი ქართველი გადარჩებოდა. ოპოზიცია თავის დროზე ვამაყობდით, რომ ჩვენი აქციები მშვიდობიანი იყო და ხეზე ფოთოლიც არ ჩამოგვიგდია. ამ დროს კი ეს მანქურთები ტრუპების შეკვეთებს იძლეოდნენ. თანაც ვინ? მერაბიშვილი. საკუთარი თვალით მაინც არ მენახოს ეს ავაზაკი თუ რა შეშინებული გარბოდა მაშინ, როდესაც თუნდაც ელიზბარ ჯაველიძეს დაინახავდა პარლამენტში, როგორ გარბოდა, ე მანდ არ გამლახოსო. ეს მშიშარა ადამიანი, პირში აგინებდნენ და იქით იმალებოდა. ორი ტრუპიო – ახლაც ჩამესმის ყურში მაგ მანიაკის სიტყვები და ძალიან ვწუხვარ, რომ ძალიან ადრე 2005-2006 წლებში არ დავუმთავრეთ ამ ნაძირლებს საქმე. ვწუხვარ და ბოდიშსაც ვუხდი ამის გამო ყველას. განსაკუთრებით დაღუპულების ოჯახებს, რომ მოლოტოვის კოქტეილებით არ ამოვბუგეთ თავის დროზე ეს უზნეო ხალხი. ძალზე შეშფოთებული ვარ და წარმომიდგენია, თუნდაც 26 მაისს, როგორი დუჟმორეული ხავილით ითხოვდა ორ ტრუპს ეს ცახესი. რა ბედნიერი იყო ალბათ, როდესაც გაიგებდა ორი ქართველის სიკვდილს, რომელიც შემდეგ სახურავზე შემოაწყვეს. ძლევამოსილი ვანო და ძლევამოსილი მიშა კი არა, ესენი არიან ჩვეულებრივი მშიშარა ავაზაკები. მე იმ საქართველოსი რა ვთქვა, რომელმაც ამათ საკადრისი პასუხი არ აგებინოს. მე მათზე მეტად მეზიზღება ის დაქირავებული ახალგაზრდები, ანჟელა მაზმანიანის თამადობით, რომლებიც დღეს ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ვანო მერაბიშვილი არის პოლიტპატიმრი.

***– სწორედ ამის კითხვა მინდოდა, ძალიან ბევრი ცდილობდა, რომ მერაბიშვილი პოლიტპატიმრად შეერაცხა. ამჟამინდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის ირიბი ნათქვამიც მიანიშნებდა ამაზე. როგორ ფიქრობთ, გაგრძელდება კიდევ ასეთი პოლიტიკა?***

– მე შემიძლია პირდაპირ გითხრათ ამის თაობაზე ერთი რამ, რომ სწორედ ჩვენი ბრალია ბევრი რამ. არა მარტო ხელისუფლების, არამედ ჩემი, თქვენი, საზოგადოების ბრალიც არის. ტელევიზიების ბრალიც არის. არც ერთ ქვეყანაში, მაგალითად, ფაშისტური პარტიის, ან ალქაიდას და თალიბანის ამ დამნაშავე ორგანიზაციის წარმომადგენლებს არ იწვევენ გადაცემებში, პირდაპირ ეთერში და მით უმეტეს, არ აძლევენ საშუალებას, რომ თავიანთი დანაშაულებრივი პროპაგანდა აწარმოონ. სანამ ჩვენ არ შევიგნებთ და არ გამოვაცხადებთ, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები, ეს იყო დამნაშავე ბანდა, მანამადე ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიის სამართლიანობის წინსვლა გამორიცხულია. ეს არის აპრიორი და ამ აპრიორზე უნდა ამოვიდეს ახალი ქართული პოლიტიკა. უკვე ყველასთვის ხომ თვალნათელია, რომ დამნაშავე ორგანიზაციის ყოფნა პარლამენტში და მით უმეტეს, ასეთი ძალის ერთადერთ საპარლამენტო ოპოზიციურ ძალად წარმოჩენა, უდიდესი საფრთხეა ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მომავლისთვის. ცალსახაა, რომ ეს არის ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი კრიმინალური ძალა. დღეს ჩვენდა სამწუხაროდ, სახეზე გვაქვს ერთი რამ, რომ პარლამენტში, ერთადერთ ძალად წარმოდგენილია ტრუპების და გვამების მომთხოვნი ძალა და სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში, სახელისუფლო სპექტრში არსებობს მცირე ნაწილი, რომელიც პრემიერ-მინისტრს ეწინააღმდეგება და ამავე დროს იძახის, რომ ნაციონალური



მოძრაობის შენარჩუნება, ეს არის დემოკრატიის ამოცანა. კი ბატონო, შეიძლება ადამიანმა ბევრი რამ არ იცოდეს ნაციონალებზე, მაგრამ თუნდაც ეს უკანასკნელი კადრები მეტყველებს იმაზე, რომ ვერანაირად ეს დემოკრატიის ამოცანა ვერ იქნება, რადგან ეს არის დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული ქმედება. როდესაც დანაშაულებრივი ძალა არის ერთადერთ ოპოზიციურ ძალად წარმოდგენილი პარლამენტში. მე საკმაოდ დიდი ხანია ვსაუბრობ და არ დავიღლები ამაზე საუბრით. შეიძლება დღეს და ხვალ ეს არავინ არ მოისმინოს, მაგრამ მერე აუცილებლად მოისმენენ. კართაგენი უნდა დაინგრეს. როდესაც ამ ფრაზას იმეორებდნენ, ამ ფრაზის გამეორებამ მოიტანა შედეგი. ასევე უნდა იყოს ქართველი საზოგადოება, არ უნდა დაიღალოს ამ ფრაზის გამეორებით. დამნაშავე ძალა არ უნდა იყოს პარლამენტში. ჩვენ დამნაშავე ძალას ოპოზიცია დავარქვით. ეს არის საშინელება! ეს ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანს. სხვათა შორის, ხშირად ვხვდები ჩვენი პოლიტიკოსების ასეთ გამონათქვამს, რომელიც მათ გაუნათლებლობაზე მეტყველებს – პოზიცია და ოპოზიცია. მათ არ იციან, რომ ამ სიტყვების ხმარება სირცხვილია. არ შეიძლება ამ სიტყვების ხმარება, რადგან ოპოზიციურობაც პოზიციაა. თუ ვიტყვით, უნდა ვთქვათ ხელისუფლება და ოპოზიცია. მთავრობა და ოპოზიცია. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ დამნაშავე ოპოზიციის პოზიციაც დანაშაულებრივია და მათთვის ოპოზიციონერების დარქმევა, დანაშაულზე ხელის დაფარების ტოლფასია.

***– რამდენად არის დღევანდელი ხელისუფლება, საპარლამენტო უმრავლესობა მზად იმისათვის, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. როგორც არასდროს, დღეს ისე ითხოვს ხალხი, რომ რეჟიმი გასამართლდეს, რომ დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები... როგორ ფიქრობთ, წავლენ ამაზე?***

– იცით, ხელისუფლება არ არის ერთგვაროვანი, მე წავიკითხე და თქვენც წაიკითხეთ ზურაბიშვილის გამონათქვამი, იმასთან დაკავშირებით, რომ ესენი რისი გამსამართლებლები არიან, ერთი ბაჩო ახალაია ვერ დაიჭირესო. მე არ ვამბობ, რომ ზურაბიშვილი სიმართლისგან შორს მდგარ რაღაცას ამბობს. მე ამაზე არა მაქვს საუბარი. მე მტყუანმართლის გარჩევას ამ შემთხვევაში არ დავიწყებ, მაგრამ როდესაც ხელისუფლებაში ასეთი აზრთა სხვადასხვაობა არის, მე ეს საკმაოდ მაშფოთებს, იმიტომ, რომ რომ ჩემ თვალწინ ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა. ბევრჯერ მომხდარა, რომ ხელისუფლების შიგნითვე გაჩენილა ოპოზიცია. როდესაც ხელისუფლების წიაღში ღია ოპოზიციური ტენდენციები ჩნდება, ეს ძალიან ცუდის მომასწავებელია. მე კი ვხვდები, ეს ყოველივე რისი პრელუდიაც შეიძლება იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მე არ მინდა, სხვის საქმეში ჩავერიო. ფაქტია, რომ ბევრი ადამიანი, რომელიც ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოში ხელისუფლებასთან ასოცირდება, დღევანდელ ეტაპზე უფრო ნიშნის მოგებით საუბრობს, ვიდრე გულისტკივილით და ეს სერიოზული პრობლემაა. რა თქმა უნდა, ამ პრობლემას აუცილებლად ექნება გავრცობა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია ერთი რამ, რომ თუკი არსებობს კოალიცია და თუკი არსებობს გუნდი, გუნდი, რომელიც არის ქართული ოცნების კოალიცია, შენ თუ გაქვს ოპოზიციური აზრი, თუნდაც 100%-ით მართალი იყო, შენ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ეს პოზიცია არ უნდა დააფიქსირო საჯაროდ. ეს არის პოლიტიკის დაუწერელი კანონი. თუკი ჩათვლი, რომ ეს სიმართლეა და შენი ხელისუფლება ამას არ ეთანხმება, წადი, ბატონო, ოპოზიციაში, რა გინდა ხელისუფლებაში?! მე ეს ჩემი თვალით მაქვს ნანახი, მაგალითად, მაშინ, როდესაც მოქალაქეთა კავშირის წიაღში წარმოიშვა სააკაშვილისა და ჟვანიას გუნდი. მე მახსოვს ოპოზიციონერი მინისტრი სააკაშვილი შევარდნაძის ხელისუფლებაში. იუსტიციის მინისტრი იყო ოპოზიციონერი და ებრძოდა დანარჩენ მინისტრებს.

***– რატომ მოგყავთ ეს მაგალითები, მსგავს საფრთხეებს ხედავთ?***

– მე ეს მაგალითები იმიტომ მომაქვს, რომ ჩვენ კარგად ვიცით, ამ ყველაფერმა რა შედეგები მოუტანა შევარდნაძის ხელისუფლებას და შემდგომში რა შედეგი მოუტანა ქვეყანას. მე ვფიქრობ, რომ შევარდნაძის მაშინდელი ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ თავის გუნდში მან დაუშვა ასეთი ტიპის მიმართულებები. ეს ადამიანები იყვნენ ხელისუფლებაში, სარგებლობდნენ ხელისუფლების პრივილეგიებით და ამავე დროს იყვნენ ოპოზიციონერები. მაგალითად იუსტიციის მინისტრი სააკაშვილი. ეს აბსოლუტური ნონსენსია, თუ ხელისუფლება არის, ის უნდა იყოს მონოლითური და თუ გუნდი არის, ის უნდა იყოს გუნდი და თუკი გუნდში ვინმეს განსხვავებული პოზიცია აქვს, ამ ადამიანმა კეთილი უნდა ინებოს და წავიდეს ოპოზიციაში. აი, ეს არის პოლიტიკის დაუწერელი კანონი. მე ვფიქრობ, რომ გუნდში უკვე ძალიან სერიოზული პრობლემა არსებობს. მათი კომენტარები ხშირად ნეიტრალურ პოზიციაში მყოფი ადამიანის კომენტარებს უფრო ჰგავს ვიდრე ხელისუფლებაში მყოფისას.

***– უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ კოალიცია ოცნებაში სერიოზული დაპირისპირებაა. ამაზე ჩვენც არაერთხელ გვისაუბრია. რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ეს ყველაფერი? თუნდაც იგივე ზოგიერთი რესპუბლიკელის ორაზროვანი განცხადებები პროკურატურასთან მიმართებაში...***

– მე რასაც ვაკვირდები, სხვათა შორის, რესპუბლიკური პარტია საკმაოდ თანმიმდევრულია თავის ნაბიჯებში. რამდენად მართებულია ეს პოზიცია, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ისინი საკმაოდ თანმიმდევრულები არიან. დღეს პარლამენტში ყველაზე ჩამოყალიბებული პარტიული პოლიტიკური ძალა გახლავთ მხოლოდ რესპუბლიკელები. რაც შეეხება განხეთქილებას, მე ვფიქრობ, რომ ადგილობრივ არჩევნებამდე, კოალიციაში განხეთქილება გამორიცხულია.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ყველამ ძალიან კარგად იცის, ქართული ოცნების გარშემო პოლიტიკურმა პარტიებმა მოიყარეს თავი, რომ ქართული ოცნების გარეშე მათი წარმატება გამორიცხულია ადგილობრივ არჩევნებზე. საზოგადოება ტყუილად არის შეშინებული, ამ არჩევნებამდე განხეთქილება არ იჩენს თავს. თუმცა ცალსახად შემიძლია გითხრათ და დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, სადღაც შემოდგომისთვის, ეს ყველაფერი უკვე ღია სახეს მიიღებს. მე არ ვიცი, როგორ იმოქმედებს ამ შემთხვევაში ხელისუფლება, მინდა იცოდეს ყველამ, რომ მე ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ვარ.

***– აცხადებთ, რომ შემოდგომაზე უკვე ღიად გამოჩნდება ეს დაპირისპირებაო და ამ პერიოდისთვის ხომ არ გააქტიურდება ვადამდელი არჩევნების საკითხი და თქვენ თუ ხედავთ ამის აუცილებლობას?***

– ამის აუცილებლობა არსებობს. რამდენად მოხდება, ეს სხვა საკითხია. ჩვენ უნდა ვიძახოთ – კართაგენი უნდა დაინგრეს. ნაციონალური მოძრაობა უნდა დაინგრეს. აქვე გეტყვით, რომ ყველაზე მეტად რაც დღეს ჩვენი ქვეყნის განვითარებას, დემოკრატიის განვითარებას ხელს უშლის, ეს არის მედროვეობა. არა მარტო დღეს, ჩვენ წინა ხელისუფლების დროსაც სერიოზულად გვაწუხებდა ეს პრობლემა. ფაქტიურად ყველა ხელისუფლება მოექცა მედროვეთა ტყვეობის ქვეშ. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ წინა ხელისუფლება წარმატებული ვერ გამოდგა. ეს მედროვეობა არის არა მარტო პოლიტიკაში, არამედ მთლიანად საზოგადოებაში. დღეს საზოგადოების უდიდესი ნაწილი არის მედროვეების და ყვარყვარეების საზოგადოება! ეს ყვარყვარიზმი კი ერთგვარ პრივილეგიად და კარგ საქციელად ითვლება ჩვენს საზოგადოებაში. მაგალითად მე სოციალურ ქსელში მეგობრებში მყავს შოუბიზნესის წარმომადგენლები, ე.წ. ვარსკვლავები და მე ვხედავ ერთ ტენდენციას, მაგალითად, სააკაშვილის დროს, ამ ადამიანებს თავისი ფეისბუქის გვერდის უპირველეს ალბომებში, უკლებლივ ყველა ამ ადამიანს, ახალაიასთან, სანოძესთან, მერაბიშვილის ცოლთან, სააკაშვილთან და ასეთი ტიპის სადისტ მუტანტებთან გადაღებული ფოტოები ეყენათ ქავერზე, მლიქვნელური კომენტარებით და ამტკიცებდნენ, თუ როგორი ახლობლები არიან ამ ხელისუფლების წარმომადგენლების. ამ ცოტა ხნის წინ გადავწყვიტე, დამეთვალიერებინა და გადამემოწმებინა თუ რა ხდებოდა მათ გვერდებზე. რა ხდება და უკლებლივ ყველას წაუშლია ერთ დროს სათაყვანებელი ფოტოები და მათ მაგივრად ახალი ხელისუფლების შედარებით დაბალი რანგის ჩინოვნიკებთან გადაღებული ფოტოები გამოუფენიათ იგივე კომენტარებით. ეტყობა მაღალ დონეს ჯერ ვერ მისწვდნენ. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საქართველოში მორალური საზოგადოების დეფიციტია. სწორედ ეს ხალხია ჩასარეცხი და დროა ამ უზნეო ადამიანებს მივუჩინოთ თავიანთი ადგილი და ეს ადგილია სანაგვე. სანამ საქართველოში ასეთი დიდი რაოდენობით ყვარყვარიზმი და მედროვეობა იარსებებს, ჩვენ წინ ვერ წავალთ. ამ მედროვეებით უნდა განიწმინდოს ყველა სფერო! დღეს სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების 90% მედროვეობით არის დაავადებული და ამას სერიოზული მკურნალობა სჭირდება!

# თემურ შაშიაშვილი: „26 მაისს პოლიციელი სამართალდამცავებმა თავად მოკლეს“

## რატომ გაიქცა აქციის მონაწილეებთან მოლაპარაკებაზე მისული ადამიანი

შორენა მარსაგიშვილი



**ახალმა ხელისუფლებამ ბევრს გაუცრუა იმედები. დაპირებული სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად ნაციონალებისა და მეოცნებეების კოაბიტაცია მივიღეთ. რაც დრო გადის, ახალი ხელისუფლება მით უფრო ემსგავსება ძველს. ეს გასაკვირიც არაა, ოცნების დიდ ნაწილს ხომ ყოფილი ნაციონალები შეადგენენ. შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყებას მიიჩნევს.**

**რა საჭიროა ახალი ეროვნული მოძრაობა, საიდან გაჩნდა 26 მაისის სისხლიან ღამეს პოლიციელის გვამი, ვის მფარველობს ამერიკა, რაზე უნდა თქვას საქართველომ უარი, ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარტია „თეთრების“ ლიდერი ესაუბრება.**

**თემურ შაშიაშვილი:**

– ხალხი იმედგაცრუებულია. მოლოდინი არ გამართლდა. სამართლიანობის დადგენა კვდომის პროცესშია. „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“ ემსგავსება. პოლიტიკოსები ამას სხვადასხვაგვარად ხსნიან. დომინირებს აზრი, რომ „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ გარიგდნენ. მე ყოველგვარ გარიგებას გამოვრიცხავ, უფრო მეტიც, ისიც მწამს, რომ ამ ორ პოლიტიკურ ძალას სძულს ერთმანეთი, რაც, თავისთავად, არა მგონია, კარგი იყოს. მაგრამ, რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები უარესში. უარესი კი ის არის, რომ ვინც მართავდა „ნაცმოძრაობას“, იგივე ძალები მართავენ „ქართულ ოცნებას“. ეს ე.წ. მმართველი ცენტრი უცხოეთშია. სწორედ ერთი ცენტრიდან მართვის გამო ემსგავსება „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობას“.

დღეს ჩემში ოდნავ არ იწვევს ეჭვს, რომ საქართველოს უბედურებაა ქვეყნის გარედან მართვადი ხელისუფლება. ქვეყნის უბედურებაა ქვეყნის გარედან კარნახით შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები, ქვეყნის გარედან ფინანსირებადი პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები, ჟურნალისტები, არასამთავრობო სექტორი. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოში არც ერთი საქმე არ მივა ბოლომდე, ეს იქნება კულტურა, განათლება, ეკონომიკა, სოციალური სფერო თუ სამართლებრივი კუთხით, რაც არ აწყობს იმ გარე ძალებს, რომლებიც ქვეყანას მართავენ. დავაკვირდეთ, ყველაზე დიდი შეტევა ქართულ ცნობიერებაზეა, ქართულ კულტურაზეა, მართლმადიდებლობაზე და საერთოდ რელიგიაზეა. აკნინებენ ოდითგან გამორჩეულ ქართულ განათლების სისტემას. უფრო მეტიც, გარედან მართვადმა და ფინანსირებადმა ქართული ცნობიერების წინააღმდეგ მიმართულმა საინფორმაციო საშუალებებმა და ჟურნალისტებმა ხალხი დეპრესიაში ჩააგდეს, მომავლის რწმენას უკარგავენ.

დარწმუნებით და გამოკვეთილად ვამბობ: ვიდრე საქართველოს მოსახლეობა და ქართველი ხალხი უარს არ ეტყვის იმ პოლიტიკურ ძალებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც მორჩილებაში არიან უცხო ძალებთან, ფინანსდებიან პოლიტიკური ფულით, რომელთათვისაც მთავარია ის, თუ რას ფიქრობენ უცხოეთში და არა ის, რა ხდება და რას ფიქრობენ საქართველოში – სიკეთე არც ქვეყანაში და არც ჩვენს ოჯახებში არ იქნება. კარგად მხოლოდ გარედან მართვადი და დაფინანსებული პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები იცხოვრებენ. დრომ დაადასტურა, რომ ქვეყანას და საკუთარ მომავალს ყიდის ის, ვინც საარჩევნო ხმას ყიდის და ქვეყანას ყიდის ისიც, ვინც საარჩევნო ხმებს ყიდულობს. ოც წელზე მეტია, საქართველო საარჩევნო ხმების გამყიდველთა და მყიდველთა მიერ შექმნილი მთავრობებით იმართება. ეს ტრაგედიაა. მით უფრო, რომ ეს ვაჭრობა პოლიტიკური ფულით ხდება. სწორედ ამ მოზღვავებული პოლიტიკური ფულის და მის მძებნელ პოლიტიკოსთა გამოა საქართველო მუდმივ საარჩევნო პროცესში. სწორედ ამ პოლიტიკური ფულის გამო ილვრება სისხლი საქართველოში, სწორედ ამ პოლიტიკური ფულის გამო ცხოვრობს ცრემლში უამრავი საქართველოში და სწორედ ამ პოლიტიკური ფულის გამო, გარედან მართვადი პოლიტიკოსების, ჟურნალისტების და არასამთავრობო სექტორის მიერ კვლავ სისხლისღვრისკენ მიექანება საქართველო. ჩვენ, „თეთრები“, კატეგორიული წინააღმდეგი ვართ შევიდეთ იმ პოლიტიკურ ალიანსებსა და გაერთიანებებში, რომლებიც უცხოელთა ინიციატივით და უცხოელთა ფინანსებით იქმნება. ჩვენ ვემიჯნებით იმ პოლიტიკურ ალიანსებსა და გაერთიანებებს, რომლებიც ფიქრობენ არჩევნებზე, როგორც სკამების ანუ თანამდებობების მოპოვების საშუალებაზე და არ ებრძვიან მთავარს – ქვეყნის გარედან მმართველ პოლიტიკურ ცენტრებს.

დავფიქრდეთ, 1992 წლიდან საქართველოში ყველა მთავრობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლით მოვიდა და კორუფციის გამო წავიდა. 1992 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ყველა მთავრობა ხალხის კეთილდღეობის პროგრამით მოდიოდა და ხალხს შიმშილში ტოვებდა. როგორც ჩანს, საქართველოს და მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის მთავარი პრობლემა არის ის, რომ გარე ძალების მხარდაჭერით ქვეყნის სათავეში მოდიან ერთ-ორ პიროვნებას ამოფარებული ბანდიტური ჯგუფები. ამას უკრაინაში მიმდინარე პროცესებიც ადასტურებს.

*– როგორი ხელისუფლება სჭირდება ქვეყანას?*

– ჩვენ, „თეთრებს“, კარგად გვესმის, რომ არც ურაპატრიოტიზმია ქართული, არც ფსევდოპატრიოტიზმი და არც კოსმოპოლიტიზმი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ არც ამერიკული გზაა ქართული, არც რუსული და არც რომელიმე სხვა ქვეყნის წამხედურება. ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ ჩვენ გვჭირდება დიდი მეგობრობა ამერიკასთანაც, ევროპასთანაც, აზიასთანაც, რუსეთთანაც და განსაკუთრებით კავკასიაში. სწორედ ამიტომ საქართველოს მომავალი ქართული გზაა, რომელიც ოდითგან ნიჭსა და ზნეობას ეყრდნობა. ჩვენ ვართ იმ ხალხთან და იმ პოლიტიკოსებთან ერთად,

რომლებიც თვლიან, რომ ქვეყანას უნდა მართავდეს სხვათა ჩარევის გარეშე დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება. რომ ხელისუფლებას უნდა მართავდეს, ხაზგასმით ვამბობ – მართავდეს საზოგადოება, ის საზოგადოება, რომლისთვისაც მთავარია ინტელექტი და ზნეობა. ბევრი ვიფიქრე, მეთქვა თუ არა ყოველივე ეს. მაგრამ მჯერა, რომ უთქმელობას მაინც თქმა სჯობდა. ვთქვი ყველაფერი ეს იმის იმედით, რომ უკვე საქართველოში უამრავი ფიქრობს განახლებულ ეროვნულ მოძრაობაზე. ფიქრობს და ოცნებობს ეროვნული იდეით გაერთიანებულ საქართველოზე. დღეს ყოველი ასეთი ადამიანი ქვეყნის სიმდიდრეა, მომავლის იმედია, გამარჯვებისთვის მებრძოლია.

*– რატომ გგონიათ, რომ ეროვნული მოძრაობის განახლება არის ერთადერთი გამოსავალი?*

– გარე ძალებიდან მართვადი მაფიოზური ძალების დამარცხება მხოლოდ ეროვნული განწყობის ადამიანებს შეუძლიათ. აშკარაა, რომ არც რუსეთს და არც დასავლეთს ქართული ცნობიერების ადამიანები არ მოსწონს. გამოარჩევენ ვიღაცას, წაიყვანენ თავის ინკუბატორში, მოარჯულებენ და მხოლოდ იმ ხალხს ეყრდნობიან. მოდით, დავაკვირდეთ ერთ რამეს, ეროვნული მოძრაობის ძველი ლიდერების დიდი ნაწილი დღეს ცოცხალი აღარ არის. რამდენიმე მათგანის სიკვდილში გარე ძალების ხელი ურევია. ზვიად გამსახურდიაზე აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა განაცხადა, დიწების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. ამის გამო სირთულეები შეუქმნეს. ნატოზე საქართველოში ყველაზე პირველი ირაკლი წერეთელი ლაპარაკობდა. რუსეთი თუ ვინმეს სძულს, ეს ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე და თამრიკო ჩხეიძე არიან. ისინი ყველაზე მეტი მედასავლეთეები არიან.

*– ისე, მართლა საინტერესოა, დასავლეთმა მათზე რატომ არ გააკეთა აქცენტი?*

– იმიტომ, რომ იცოდნენ მათი ხასიათი. იციან, რომ ისინი ეროვნული ადამიანები არიან და მათი მორჯულება არ გამოვა. სამწუხაროა, რომ საქართველოში ეს ადამიანები აღარავის აღარ აინტერესებს. არადა, ყველა ქვეყანა პატივს სცემს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს. ერთადერთი, საქართველოა, სადაც ამგვარ ადამიანებს ებრძვიან.

*– თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?*

– იმიტომ, რომ საქართველოში პოლიტიკური ძალების 99% გარედან – ან რუსეთიდან, ან დასავლეთიდან იმართებიან. იგივე ვითარებაა არასამთავრობო სექტორში. არ არის ეს ამ ქვეყნისთვის დამაფიქრებელი? ნახეთ, რა ხდება, ხალხო, ევროპაში? მოხიბლული ვარ უნგრელი ხალხის პატრიოტიზმით. არნახული ეროვნული განწყობაა საბერძნეთში. ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც იწყება ასეთი მოძრაობა. ევროკავშირს დღეს სერიოზული პრობლემები აქვს. ჩვენ კი მაინც იმას გავიძახით, რატომ არ შევედით ევროკავშირში და რატომ ვერ გავხდით ნატოს წევრები. ეს მართლაც დამაფიქრებელი კითხვაა, მართლა საინტერესოა, რატომ არ გვიშვებენ ან ერთგან, ან მეორეგან. ქვეყნის სათავეში მოჰყავთ ის ხალხი, ვინც ნატოში და ევროკავშირში შესვლაზე საუბრობენ. პირად საუბრებში ევროკავშირს ყველა დასცინის. ამბობენ, რომ ევროკავშირში შესვლა საქართველოს დაღუპვას ნიშნავს. ამბობენ, რომ რუსეთთან უნდა მოვაგვაროთ ურთიერთობა. გარეთ გამოდიან და სულ სხვას ამბობენ. ამბობენ, იმიტომ, რომ დასავლეთს უნდათ ასიამოვნონ. ამის მკურნალობა ერთადერთი ეროვნულ მოძრაობას შეუძლია. ეროვნულ მოძრაობას არ ეშინია იმის თქმა, რომ რუსეთთან ომი და დაპირისპირება კარგს არაფერს მოიტანს. ეროვნულ კაცს არც იმის თქმა უჭირს, რომ დასავლეთთანაც კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს, არაეროვნულად მოაზროვნე ხალხი კი იმას გაიძახის, რომ ან მარტო რუსეთთან უნდა ვიყოთ კარგად ან დასავლეთთან.

*– რუსეთთან ომი არ ვარგაო, რომ ამბობთ, ამის გამო, შესაძლოა, პრორუსულის იარლიყი მოგაკერონ.*

– პრორუსულები არიან ისინი, ვინც რუსეთთან ომის აუცილებლობაზე საუბრობს. ასეთი იყო სააკაშვილი. მან საქართველო რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაითრია. შედეგად კი ტერიტორიები დავკარგეთ. სააკაშვილი ლანძღავდა რუსეთს, მაგრამ ყველაზე დიდი რუსულ საქმეს აკეთებდა. მან უბრძოლველად დაუთმო რუსებს კოდორის ხეობა და ახალგორი. ახლა მითხარით, ვინ არის პრორუსული, მე თუ ძველი ხელისუფლება. სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ მთელი ქართული ეკონომიკა რუსეთს ჩაუგდო ხელში. საქართველოს დღეს ეკონომიკურად რუსეთი მართავს, ხოლო პოლიტიკურად – დასავლეთი. ეს ამ ქვეყანას დაღუპავს. გამოსავალი ერთადერთია, საქართველოში ახალი ეროვნული მოძრაობა უნდა დაიწყოს. პრორუსული რომ ვყოფილიყავი, ეროვნული მოძრაობის განახლებას არ მოვითხოვდი.

***– ამის მიუხედავად, თქვენ და სახალხო კრებას, რომლის შემადგენლობაშიც ხართ, რუსული დაკვეთების შესრულებას გაბრალებენ. ამის მაგალითად კი 2011 წლის 26 მაისი მოჰყავთ.***

– სად იყო იქ რუსული დაკვეთა. რა იყო იქ პრორუსული მოთხოვნა? ჩვენ ვადამდელ არჩევნებს ვითხოვდით. ვითხოვდით, რომ მომხდარიყო პოლიციის დეპოლიტიზირება, მედია და ბიზნესი პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებულიყვნენ.

***– 26 მაისს თქვენ განაცხადეთ, რომ არ დაუშვებდით სამხედრო აღლუმის გამართვას. სწორედ ამას გითვლიან მთავარ დანაშაულად.***

– დავიწყოთ იმით, რომ 26 მაისი იყო საერთო სახალხო დღესასწაული. ის ჩვენც ისევე გვეკუთვნოდა, როგორც სააკაშვილს. ჩვენ აღლუმის ჩატარების წინააღმდეგი არ წავსულვართ. ჩვენ ვთქვით, რომ სააკაშვილს არ მივცემდით სამხედრო აღლუმის ჩაბარების უფლებას. მას ამის მორალური უფლება არ ჰქონდა. სააკაშვილი იყო ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი. ამ მთავარსარდალმა გორში თვითმფრინავის ხმაზე ისტერიკა მოაწყო, დაბლა გაგორდა მიწაზე და მთელ ქვეყანას მოსჭრა თავი. მიწაზე მფორთხავ მთავარსარდალს კი აღლუმის ჩაბარების უფლება არ ჰქონდა. თუკი უნდოდათ, რომ რუსთაველი გაეთავისუფლებინათ, ალყაში რატომ მოგვაქციეს? დარბევა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყეს, ვიდრე ჩვენთან მოლაპარაკება დაიწყებოდა. აქციის მონაწილეებთან მოვიდა მერიის წარმომადგენელი. მან მოთხოვნები გაგვაცნო, ის სცენაზე იყო ამოსული. როცა 12 საათი შესრულდა, მე ხალხს და მათ შორის სპეცრაზმელებს დამოუკიდებლობის დღე მივულოცე. მილოცვა დამთავრებული არ მქონდა, რომ რეზინის ტყვიები და მხუთავი გაზი წამოვიდა. მოლაპარაკებაზე მოსული კაცი გაიქცა. რატომ არ დაასრულეს მოლაპარაკება, იქნებ ვტოვებდით რუსთაველს. ამ თემაზე მიმდინარე კვირაში მომიწევს სასამართლოზე საუბარი და ყველაფერს ვიტყვი, რაც მაშინ მოხდა.

*– გელა ნიკოლაიშვილმა ამ დღეებში საინტერესო განცხადება გააკეთა. მან განაცხადა, რომ პოლიციელი, რომლის მკვლელობაც აქციის მონაწილეებს ბრალდებათ, წინასწარ მოკლეს და მისი გვამი იქ მიიტანეს. ამაზე რას იტყვით?*

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# გია ვოლსკი: „ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდება!“

## რაში არ ეთანხმება ხელისუფლებას დავით ზურაბიშვილი

შორენა მარსაგიშვილი

29 იანვარს გავრცელებული ვიდეოკადრები კიდევ დიდხანს იქნება მითქმა-მოთქმის საბაბი. ვანო მერაბიშვილის მიერ მოთხოვნილ 2 გვამს კარგა ხანს ვერ დაივიწყებს საზოგადოება. ნანახით თავად ნაციონალებიც კი გაოგნებული არიან, თუმცა ხმამაღლა ამ გაოცებას არ გამოხატავენ. ბოროტი ხმები კი ამბობენ, რომ მალე კიდევ უარეს კადრებს ვიხილავთ.

ვიდრე ამ კადრებს გვაჩვენებენ, ერს ვანო მერაბიშვილზე მოუწევს ნერვიულობა. გავრცელებული ინფორმაციით, ვანო მერაბიშვილს შესაძლოა ბრალი დაუმძიმდეს, რაც ნაციონალებსა და ნამინისტრალის ადვოკატებს წარმოუდგენლად მიაჩნიათ. მათგან განსხვავებული პოზიციები აქვს დეპუტატ გია ვოლსკის.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კადრები ყოფილ შს და პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილს ბრალს დაუმძიმებს.

– „მუხროვანის კადრები“ პოლიტიკასთან კავშირში არ არის და ის აუცილებლად უნდა გავრცელებულიყო. „ვანო მერაბიშვილის მიმართ მიმდინარეობს სამართლებრივი დევნა, სასამართლო განხილვა და, მე ვფიქრობ, ბრალი დაუმძიმდება, – განაცხადა ვოლსკიმ.

სკანდალურ კადრებთან დაკავშირებით მეოცნებეებს ერთიანი პოზიცია აქვთ, თუმცა არიან განსხვავებულებიც. მათ შორის არის რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი. მისი განცხადებით, „მუხროვანის კადრები“ აუცილებლად უნდა გამოიძიონ. ოღონდ ის საგამოძიებო უწყებების მუშაობას სკეპტიკურად აფასებს.

– ვიღაცები ამბობენ, რეჟიმი უნდა გავასამართლოთო. რა რეჟიმი უნდა გაასამართლონ, ბაჩო ახალაია ვერ გაუსამართლებიათ! მაშინ როცა, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მტკიცებულება არსებობს, ორი გამამართლებელი განაჩენი დადგა მის მიმართ. სირცხვილია, უბრალოდ, – განაცხადა ცოტა ხნის წინ დავით ზურაბიშვილმა.




მის მოსაზრებებს პატივს სცემს, მაგრამ არ იზიარებს გია ვოლსკი. მან სამართალდამცავებს სთხოვა, რომ დავით ზურაბიშვილს საპირისპირო დაუმტკიცონ.

– მოვუწოდებ საგამოძიებო ორგანოებს, დაუმტკიცოს როგორც დათო ზურაბიშვილს, ასევე არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს და ზოგადად საზოგადოებას, რომ „მუხროვანის კადრებთან“ დაკავშირებული მათ მიერ გაკეთებული შეფასებები რეალობისგან რადიკალურად განსხვავებულია და ცდებიან! – აცხადებს ვოლსკი.

ვოლსკის განცხადებით, მისი და დავით ზურაბიშვილის მოსაზრებები ამ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა. „რეპორტიორის“ კითხვაზე – არის თუ არა ეს იმის თქმის ერთ-ერთი საფუძველი, რომ ხელისუფლებაში გადაწყვეტილების მიღების პრობლემაა, რომელზეც არასაპარლამენტო ოპოზიცია საუბრობს – ვოლსკი აღნიშნულს გამორიცხავს.

– ზურაბიშვილი თავისუფალი ადამიანია, მას გააჩნია გარკვეული განსხვავებული მოსაზრებები. ამ შემთხვევაში ჩემი და დათო ზურაბიშვილის მოსაზრება ერთმანეთს არ ემთხვევა, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ განსხვავება ზურაბიშვილისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ გაკეთებულ განცხადებებს შორის ისაა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციის განსხვავებებს პოლიტიკური ელფერი და შეფუთვა აქვს, ზურაბიშვილისას კი არა, – განაცხადა ვოლსკიმ.

# მანანა ნაჭყებია: „მოქმედმა ხელისუფლებამ ვერც ერთი საქმის გამოძიება ვერ შეძლო“

## ვის აწევს ზურგზე ბიძინა ივანიშვილი

შორენა კოწოწაშვილი

**რა კავშირი აქვთ ნაცმოძრაობის ლიდერებს სკანდალური ვიდეომასალის გავრცელებასთან, რა პრობლემის წინაშე დგანან ივანიშვილის დანიშნული მინისტრები და დგას თუ არა ვადამდელი არჩევნების აუცილებლობა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მანანა ნაჭყებიასთან.**

*— ქალბატონო მანანა, მუხროვანის ამბოხებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ვიდეოჩანაწერს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. როგორია თქვენი შეფასება კადრების მიმართ, სადაც შს ყოფილი მინისტრი საუბრობს, რომ მას „ორი გვამი სჭირდება და პრემია მაღალი იქნება“?*

— მიუხედავად იმისა, რომ მრავალი აზრი გამოითქვა ამ თემასთან დაკავშირებით, ყველაზე ჯანსაღი აზრი დაფიქსირდა რამდენიმე ექსპერტისა და რამდენიმე პოლიტიკოსის მხრიდან. მეც სწორედ ამ აზრს ვემხრობი: მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ვანო მერაბიშვილი, მიუხედავად იმისა, მისი წარსულის მიმართ რა დამოკიდებულება გვაქვს და იმ ქმედებების მიმართ, რომელსაც ის, როგორც შს მინისტრი, როგორც პრემიერ-მინისტრი ახორციელებდა, ჩვენ, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ვალდებული ვართ, ბოლომდე გავერკვეთ ყველაფერში და დასკვნები მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთოთ. ამიტომ, ვფიქრობ, აუცილებელია ამ ვიდეომასალის ექსპერტიზა, ზოგადად, გამოძიების ჩატარება ამასთან დაკავშირებით. შემდეგ სამართლიანმა სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ მძიმე ფაქტზე, რაც იყო მისი განცხადება — ორი გვამი მჭირდება. ერთია, ჩვენ რა ემოციებით ვართ, მეორე — სამართლიანი სასამართლო, რომელიც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დემოკრატიულ სახელმწიფოში. რაც შეეხება ჩემს პირად ემოციებს, ჩემი მეგობრების პირად ემოციებს, ჩვენ ეს დღე გვქონდა ძალიან მძიმე, მძიმედ აღვიქვით ეს ყველაფერი. მიგვაჩნია, რომ იმ ხელისუფლების პირობებში, რომლის ერთ-ერთი ლიდერიც და რომელსაც სათავეში, როგორც პრემიერ-მინისტრი ედგა მერაბიშვილი, ასეთი რამ შეიძლებოდა. ასეთი რამ ხდებოდა და მოხდა კიდევაც, რაც ფაქტებითაც არის დადასტურებული. დაახლოებით ასეთი იყო იგივე სანდრო გირგვლიანის მკვლელობა, ასევე სხვა ახალგაზრდების მკვლელობა. ეს იყო ყველაზე ცუდი რამ, რასაც ნაციონალური მოძრაობა თავისი ზეობის პირობებში აკეთებდა.

*— როგორ ფიქრობთ, ვისი ინტერესებიდან გამომდინარე გავრცელდა ეს ვიდეომასალა? სააკაშვილის ფოტორეპორტიორის ინფორმაციით, კადრები შსს-ს მიერაა გადაღებული.*

— ფირიდან აშკარად ჩანს, რომ საქმის კურსში არიან მაღალჩინოსნები მათი მოძრაობის და საუბრის გადაღება რომ ხდებოდა. ერთი ადამიანი ხელს აფარებდა კამერას ანუ მერაბიშვილმა იცოდა, რომ გადაღება მიდიოდა. სწორედ ამიტომ ვამბობ, ძალიან ძნელია წარმოიდგინო, რომ ადამიანმა იცოდა, გადაღება რომ მიმდინარეობდა და გვამებზე ასე საუბრობდა. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მერაბიშვილმა არ თქვა ეს და არ იგულისხმა ის, რაზეც ეჭვი ძალიან ბევრს გვაქვს. არ იგულისხმა ის, რომ მომხდარიყო იმ ადამიანების ლიკვიდაცია, ვინც ამ ამბოხების ორგანიზატორები იყვნენ. ზოგადად, მუხროვანის ამბების მიმართ ძალიან ბევრი კითხვაა. თავიდანვე, როდესაც 2009 წელს საზოგადოებისთვის ეს ამბავი გახდა ცნობილი, ძალიან ბევრს არ სჯეროდა, რომ ეს რეალურად მოხდა. ბევრი მიიჩნევდა, რომ ეს იყო ხელისუფლების მიერ დადგმული სპექტაკლი იმისთვის, რომ რაღაც მოვლენები გადაეფარათ; რომ საზოგადოებაში უფრო მეტი ზიზღი გაეჩინათ რუსეთის მიმართ და საზოგადოება დაერწმუნებინათ, რომ რუსეთი ასეთ გეგმებს ახორციელებს ჩვენი ქვეყნის მიმართ, როგორიც არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა, ხელისუფლების დამხობა და ა.შ. ამიტომ, კიდევ ერთი საბაბი იმისა, რომ ეს ყველაფერი ბოლომდე და დეტალურად იქნეს გამოძიებული, არის სწორედ ის ეჭვები და კითხვები, რომელიც თავის დროზე არსებობდა მუხროვანის ამბოხის მიმართ. აქ არის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი: ჩვენ 9 წლის განმავლობაში და, სამწუხაროდ, ბოლო წელიწად-ნახევარიც, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, დავიღალეთ აი, ამდენი მრავალკითხვიანი და მრავალუცნობიანი განტოლებების ამოხსნით, რასაც ჰქვია ცალკეული კონკრეტული მოვლენები, თუნდაც ამის მსგავსი, რასაც ჰქვია მუხროვანი, სადაც საბოლოოდ ვერც ერთ შემთხვევაში წერტილი ვერ დაისვა, რომელზე პასუხიც ისეთი გასცა სასამართლომ ან გამოძიებამ, რომ კითხვები აღარ დარჩა საზოგადოებას. პრაქტიკულად, ყველა საქმის მიმართ არსებობს კითხვები; პრაქტიკულად, ყველა საქმე და ყველა მძიმე შემთხვევა არის ისე დატოვებული, რომ საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილს აქვს ერთნაირი შეხედულება, ხოლო მეორე ნაწილს — სხვანაირი. ვერც ერთ შემთხვევაში ვერც წინა ხელისუფლებამ მოახერხა ეს და ვერც დღევანდელი ახერხებს, რომ ადამიანები დარწმუნდნენ და მიიღონ ერთი მხარის მტკიცებულება ჭეშმარიტებად და არ იყვნენ ასეთ გაორებულ მდგომარეობაში.

*— გავრცელებული ვიდეომასალა არის იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მთლიანად თავიდან ბოლომდე ე.წ. მუხროვანის ამბოხი უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ იყო დაგეგმილი და უდანაშაულო ადამიანების სიკვდილი თავიდანვე დაგეგმილი ჰქონდათ?*

— არა მგონია, რომ რუსეთს საქართველოში თავისი აგენტები არ ჰყავს და რუსეთი საქართველოში არ ეწევა ძირგამომთხრელ საქმიანობას. უფრო პირიქით. დარწმუნებული ვარ, რუსეთს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჰყავს ჯაშუშები. რუსეთი ბევრგან ცდილობს ცხვირის ჩაყოფას და რუსეთი ძალიან ბევრგან ცდილობს, პროცესები თვითონ მართოს. პირველ რიგში, ალბათ, ამის გაკეთებას ის საქართველოში ცდილობს.



მაგრამ არიან კი სწორედ ეს ადამიანები — გარდაცვლილი კრიალაშვილი, ან ოთანაძე, ან ამირიძე, რომლებიც წარმოადგენენ რუსეთის მეხუთე კოლონას საქართველოში. ამაში ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ და არავის აქვს უფლება, იმ ადამიანებში, მათ პატიოსნებასა და ერთგულებაში ეჭვი შეიტანონ, სანამ ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ გვექნება. ამიტომ, მიუხედავად ჩემი ემოციური დამოკიდებულებისა, ჩემი შეხედულებებისა მუხროვანის კონფლიქტის მიმართ, ამ ადამიანების მიმართ, ვინც მოიხსენიებიან მუხროვანის კონფლიქტის ინიციატორებად და თითქოს მათ ზურგს რუსეთი უმაგრებს, ჩვენ ხელისუფლებამ უნდა მოგვცეს პასუხები ამ კითხვაზე, რომ საბოლოოდ გვქონდეს ყველანაირი არგუმენტი იმისა, რომ მათ მიმართ დასკვნა გამოვიტანოთ.

*— პროკურატურამ ვიდეომასალის საფუძველზე გამოძიება დაიწყო. შესწევს დღეს პროკურატურას იმის უნარი, რომ სრულყოფილად და ობიექტურად ჩაატაროს გამოძიება და საქმე სასამართლოშიც დაიმაგროს, ფაქტია, ნაციონალი მაღალჩინოსნების პროცესებზე დაცვის მხარე აცხადებს, რომ ბრალდება სასამართლოში მყარი არგუმენტების გარეშე შედის და არაერთი გამამართლებელი განაჩენიც ვიხილეთ იმავე ახალიასთან დაკავშირებით.*

— თქვენი მხრიდან ამ კითხვის დასმას ძალიან ლეგიტიმური საფუძველი აქვს. სამწუხაროდ, რასაც ჩვენ ბოლო თვეების განმავლობაში ვხედავთ, პროკურატურამ ვერც ერთი საქმე, რომელსაც იძიებს, ვერ წაიყვანა ისე, რომ საზოგადოებაში უამრავი კითხვა არ გაჩენილიყო და ნაციონალურ მოძრაობაში, რომლის დანაშაულებრივ მოღვაწეობაში ეჭვი არავის გვეპარებოდა. საბოლოოდ რომელიმე თემაზე მაინც არ ჰქონდეს საფუძველი, ილაპარაკოს, რომ ეს ასე არ არის. პროკურატურას, სამწუხაროდ, არც ერთი საქმე არ აქვს ბოლომდე მიყვანილი. დღეს საერთოდ ირკვევა, რომ მერაბიშვილის საქმის პროკურორი არის ის ქალბატონი, რომელიც მუხროვანის საქმეშიც მონაწილეობდა. ეს კიდევ უფრო მეტ კითხვის ნიშანს აჩენს. ამიტომ, ვერ გეტყვით, დღეს პროკურატურას შესწევს თუ არა ძალა, ბოლომდე მიიყვანოს ეს საქმე. რატომღაც ისეთი განცდა მაქვს, რომ დღეს პროკურატურა ნაკლებად არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული, იმიტომ რომ, თუ ნაცმოძრაობის პერიოდში ჩვენ ერთმნიშვნელოვნად ვიცოდით, რომ სასამართლოც და პროკურატურაც ხელისუფლების გავლენის ქვეშ იყო, დღეს ეს მხოლოდ ეჭვის დონეზეა. დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც სწორედ ამ დროშით მოვიდა, რომ ნაციონალური მოძრაობა იყო ძალაუფლების უზურპატორი; მთლიანად ხელში ჰქონდა ძალაუფლება ჩაგდებული და გავლენას ახდენდა ისეთ ინსტიტუტებზე, რომელიც, წესით, დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამიტომ, მინდა ვირწმუნო, რომ ეს ხელისუფლება პროკურატურის საქმიანობაში არ ერევა. თუმცა, ერთია ჩემი შინაგანი რწმენა, მეორეა ფაქტები, რომელიც საბოლოოდ ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა.

*— ვანო მერაბიშვილის მეუღლე აქციებზე გამოდის ტრანსპარანტებით: ვითხოვთ სამართალს. თავად მისი მეუღლე კი, რომელიც საკმაოდ მძიმე ბრალდებებით არის დაპატიმრებული, ოჯახის უსაფრთხოებაზე წუხს და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბრობს. საფრთხის წინაშეა და დაუცველია მერაბიშვილი და მისი ოჯახი?*

— მიუხედავად ჩემი ემოციური და პირადი დამოკიდებულებისა ვანო მერაბიშვილის საქმიანობისა და თაკო მერაბიშვილის როლის მიმართ სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების საქმეში, მე კიდევ ერთხელ ვამბობ: ვისურვებდი, რომ უტყუარი ფაქტები დაიდოს, რამდენად არის ეს ქალბატონი დამნაშავე გირგვლიანის საქმეში და სხვა ბევრ საკითხშიც, რაზეც ინფორმაცია სოციალურ ქსელებში ვრცელდება, რომ მხოლოდ ეს არ იყო ერთი კონკრეტული შემთხვევა და სხვა შემთხვევაშიც ის, როგორც მაღალჩინოსნის მეუღლე, ბევრად უფრო მეტ გადაწყვეტილებებს იღებდა, ვიდრე უფლება ჰქონდა. ვიმეორებ, ერთია, მე რა მჯერა და მეორეა, რას დაადგენს სასამართლო და პროკურატურა. ამიტომ, უმჯობესია, ამ შემთხვევაშიც სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდოთ, დაველოდოთ იმას, რომ პროკურატურა უტყუარ ფაქტებს დადებს და მხოლოდ შემდეგ შევაფასოთ თაკო მერაბიშვილის ქმედებები. თუმცა ხაზს ვუსვამ, მიუხედავად საზოგადოების დამოკიდებულებისა, ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ ჩვენი შეხედულებები წარსულში დავტოვოთ და ვისაუბროთ, ვამტკიცოთ და არგუმენტებად მოვიყვანოთ მხოლოდ რეალური ფაქტები და არა მხოლოდ ჩვენი შეხედულებები და შინაგანი რწმენა.

*— გამორიცხავთ, რომ ეს ვიდეომასალა ნაციონალების ინტერესების შესაბამისად გავრცელდა, რათა კეზერაშვილი თემა გადაიფაროს და საქართველოს წინა ხელისუფლების ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში მონაწილეობა?*

— არა მგონია, რომ ამის გავრცელება ნაციონალების ინტერესებში იყოს იმიტომ, რომ თუ მერაბიშვილის გამონათქვამის სისწორე დადასტურდა, ნაციონალური მოძრაობა ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება. ნაცმოძრაობა უკვე მძიმე მდგომარეობაშია ამ ვიდეოკადრების გამოქვეყნების შემდეგ, რადგან საზოგადოების უდიდესი ნაწილი განწყობილია დაიჯეროს, რომ მერაბიშვილი ასეთი რამის მთქმელიც არის და გამკეთებელიც. თქვენ იცით ნაცმოძრაობის მიმართ ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულება. ამიტომ ნაციონალური მოძრაობა ნამდვილად არ ისურვებდა, რომ ეს თემა ხელახლა წამოწეულიყო და ვიდეო გავრცელებულიყო. აქ ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ გარკვეული ურთიერთობები ხელისუფლების ძველ წარმომადგენლებთან და ბევრ მათგანთან მიაღწიეს შეთანხმებას. არ ვიცი, რა გარიგებები ხდება და რის საფუძველზე მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ ფაქტია, ისინი თავად აწვდიან ნაცმოძრაობის მაკომპრომეტირებელ მასალებს და შემდეგ ესენი იტვირთება, ვრცელდება სოციალურ ქსელებში. ცხადია, ამას დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ. თუ ასეთი რამ მართლაც რეალობას შეესაბამება, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა გამოქვეყნდეს, საზოგადოებამ ნახოს და ყველა კითხვას პასუხი გაეცეს. საზოგადოებას ბევრი კითხვა აქვს და არა მხოლოდ ყოფილ მაღალჩინოსნებთან მიმართებით. ბევრი დაპირება არ შესრულებულა. ფაქტია, სტაგნაციაა ბევრ რამეში. პრემიერს, რომელსაც ვგულშემატკივრობ, ვურჩევდი, დღის წესრიგი შეცვალოს და უფრო ღრმად ჩაიხედოს პრობლემებში. საზოგადოების ინტერესებში არ არის, ერთადერთი ოპოზიციური ძალა ნაციონალური მოძრაობა იყოს ქვეყანაში, როგორც ამას ხელისუფლება წარმოაჩენს.

*— დღის წესრიგის შეცვლაა აუცილებელი, რაზეც თქვენ მიანიშნეთ თუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რასაც ნინო ბურჯანაძე ითხოვს?*

— მე ვფიქრობ, რომ ბიძინა ივანიშვილს შეეძლო, უფრო მეტად დაემტკიცებინა საზოგადოებისთვის, რომ მისთვის ხელისუფლების სათავეში მოსვლა კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ ქვეყნის წინსვლა. თუ ის, ვთქვათ, თავისუფალი სამართლიანი არჩევნების გზით გაუშვებდა ხელისუფლების სათავეებიდან ნაციონალურ მოძრაობას და შემდეგ უკვე თავისუფალ გარემოში ჩაატარებდა საპარლამენტო არჩევნებს და ჩვენ გვეყოლებოდა ბევრად უფრო კომპეტენტური და საზოგადოების აზრის მეტად გამთვალისწინებელი პარლამენტი. მაშინ იყო პოლიტიკური ცუნამი, როდესაც ხალხს, საზოგადოებას ჰქონდა ერთადერთი არჩევანი, რომ დამარცხებულიყო ნაციონალური მოძრაობა, ყველა უნდა წასულიყო „ქართული ოცნების“ მხარეს. მაგრამ რეალურად ეს ასე ხომ არ არის. ხომ ბევრად უფრო მეტი ამომრჩეველი ჰყავდა სხვა პოლიტიკურ ძალებს, ვიდრე რეალური შედეგი მივიღეთ. მაგრამ ეს ბიძინა ივანიშვილმა თავის დროზე არ გააკეთა. მით უმეტეს, ამას არ გააკეთებს „ქართული ოცნების“ დღევანდელი ხელმძღვანელობა, იმიტომ, რომ ისინი არიან პარლამენტში, ფლობენ ძალაუფლებას და ნამდვილად არ აწყობთ ახალი არჩევნების ჩატარება, რომელიც მათ იგივე პროცენტით აღარ მოიყვანს, რა პროცენტითაც დღეს არიან წარმოდგენილნი. მაგრამ ერთია, რა სურთ მათ, მეორე — რეალობა, ქვეყანას რა სჭირდება. ქვეყანას ეს არჩევნები ნამდვილად სჭირდება. თუმცა სასიცოცხლო აუცილებლობად ნამდვილად არ მიმაჩნია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და ცოტა დაგვიანებულიც კი მგონია. ეს რომ თავიდანვე გაკეთებულიყო, ძალიან კარგი იქნებოდა.

*— მთავრობა სუსტია თუ მხოლოდ გადაწყვეტილების მიღების პრობლემაა კოალიციურ მმართველობაში?*

— მთავრობას და დღევანდელ ხელისუფლებას აქვს კვალიფიკაციის პრობლემა. ეს გარდუვალიც იყო, იმიტომ რომ როდესაც ადამიანები ირაზმებიან ერთადერთი მიზნით — დაამარცხონ წინა ხელისუფლება, ბუნებრივია, ამაში ყველა იყრის თავს, ვინც მონდომებულია, რომ წინა ხელისუფლება დაამარცხოს. მაგრამ ამ ადამიანებს, ცხადია, ქვეყნის მართვის გამოცდილება და კომპეტენცია არ აქვთ. სწორედ ამიტომ იყო საჭირო თავიდანვე, როგორც კი 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ხელისუფლება შეიცვალა, ჩატარებულიყო ბევრად უფრო თავისუფალი არჩევნები; ბევრად უფრო კვალიფიციური ძალები შესულიყვნენ პარლამენტში და მთავრობაც უფრო კომპეტენტური პიროვნებებისგან დაკომპლექტებულიყო. ამიტომ ეს პრობლემა აქვს, რა თქმა უნდა, დღევანდელ მთავრობას. ალბათ, ეს პრობლემა ქვეყნის წინაშე მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე იქნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მიმაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრს აქვს სერიოზული შანსი, თუ ის ირწმუნებს თავის ძალებს და თუ მოახერხებს, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები მიიღოს. დღეს მართლაც არის ეს პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი ხელისუფლებიდან წავიდა, ძალიან ბევრ ადამიანს, რომელიც მან ხელისუფლებაში მოიყვანა, ზურგზე ტვირთად აქვს ის, რომ ის არის არა საკუთარი განვლილი ცხოვრების და კომპეტენციის გამოა ხელისუფლებაში, არამედ იმიტომ, რომ პრეზიდენტად, პრემიერად, მინისტრად ივანიშვილმა ისურვა. ეს მათ დამოკლეს მახვილივით მუდმივად თავზე კიდიათ და ხელს უშლის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში. ამით ზარალობს ქვეყანა, ზარალობენ თავად ეს ადამიანები, მაგრამ ამ წუთში გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ნამდვილად არ არის.

# თემურ შაშიაშვილი: „26 მაისს პოლიციელი სამართალდამცავებმა თავად მოკლეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

— დიდი მადლობა გელა ნიკოლაიშვილს ამ ინფორმაციის გაჟღერებისთვის. თუმცა ამ თემაზე ბევრად ადრე მაქვს განცხადება გაკეთებული. ის საწყალი პოლიციელი ჩვენ არ მოგვიკლავს. ის სხვა ვითარებაში დაიღუპა და იქ მოიტანეს. ამ დღეებში გავრცელებული კადრების შემდეგ, მგონი, არავის გეპარებათ ეჭვი, რომ ხელისუფლებას კარგად შეეძლო გვამების მოთხოვნა და მოპოვება. ამაზე პრემიებიც იყო დაწესებული.

*— მაშინ ასე ვთქვათ, რაში სჭირდებოდა იმ ხელისუფლებას პოლიციელის გვამი?*

— ჩვენ წინააღმდეგ რომ უფრო დიდი აგრესია წამოსულიყო. მე გაგახსენებთ, პოლიციელის მკვლელობაზე ხმა ბევრად ადრე გაავრცელეს. მანამდე, სანამ იმ უბედურის ცხედარი გამოჩნდებოდა. ამის დამტკიცება შესაძლებელია. ჩვენ იმ პოლიციელთან შეხება არ გვქონია. ჩატარდა ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ ბურჯანაძის ესკორტი პოლიციელს არ შეხებია. ახლა გასარკვევია, რა ვითარებაში დაიღუპა ის პოლიციელი.

*— ვარაუდობენ, რომ იმ ღამესთან დაკავშირებითაც იქნება სკანდალური ჩანაწერები. თქვენ თუ ფლობთ რამე ინფორმაციას?*

— არაფერი არ არის გამორიცხული. ესენი ხომ არც ერთმანეთს ინდობდნენ და ყველაფერს იწერდნენ. როცა საჭირო გახდება, ალბათ, გამოქვეყნდება კიდევაც. მთავარი ის არის, რომ იმ ღამეს ჩვენ სწორად მოვიქეცით. ჩვენ არ გვინდოდა, მიწაზე მფორთხავ სარდალს ალლუმი მიეღო. 26 მაისმა ქვეყანაში ბევრი რამე შეცვალა. იმედი მაქვს, რომ ამ საქმეზე ობიექტური გამოძიება ჩატარდება და დამნაშავეები დაისჯებიან.

*— რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ კადრებზე სააკაშვილმა კომენტარის გაკეთებაც კი არ ისურვა. თქვენი აზრით, მან მიატოვა ნაცმოძრაობა თუ რაშია საქმე?*

— სააკაშვილისგან გიკვირთ რამე? მას თუ დასჭირდა, საკუთარ მშობელსაც გაწირავს. მისი ასეთი პოზიცია ჩემთვის გასაკვირი არ არის. ის დღეს ამერიკელების ხელშია და ისინი აკონტროლებენ ამ შლეგს. რასაც ისინი ეტყვიან, იმას გააკეთებს. ამერიკელებს სააკაშვილი გვერდით იმიტომ ჰყავთ, რომ ზედმეტი არაფერი თქვას, სააკაშვილს ამერიკაზე ბევრი რამის თქმა შეუძლია. ამიტომაც არ იცილებენ გვერდიდან. ამერიკა მართლაც საქართველოს მეგობარი რომ ყოფილიყო, სააკაშვილს საქართველოში დააბრუნებდა და არც დამნაშავეების დასჯაში შეგვიშლიდა ხელს.

2014, 3 თებერვალი, №27

# მოსკოვი ცხინვალს საგარეო პოლიტიკას უწუნებს

მარიკა მჭედლიშვილი



ამ დღეებში იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფდა ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ცხინვალისა და იტალიურ ქალაქ ლანუზეას მერიებს ერთმანეთთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული.

როგორც ირკვევა, ეს ინფორმაცია ნაწილობრივ მაინც მართალია, ცხინვალსა და ლანუზეას შორის მართლაც მოეწერა ხელი ქაღალდს, რომელიც იურიდიული ძალის არმქონეა.

მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის რეჟიმისთვის, ფარატინა ქაღალდი, თუნდაც იტალიაში გაფორმებული, ვერაფერი ბედენაა, „სამხრეთი ოსეთის" ე.წ. სახელმწიფოსთვის, რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრი ამით მაინც ტრაბახობს.

„საგარეო მინისტრის" დავით სანაკოევის ყოყლოჩინობა ისეთ მოუკრეფავში გადავიდა, რომ სააგენტო „რეგნუმის" კრიტიკის ობიექტიც გახდა.

„რეგნუმის" შეფასებით, სანაკოევის ამ თემისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია წინასაარჩევნო კამპანიას ჰგავდა. (ზაფხულში ცხინვალის რეგიონში საპარლამენტო არჩევნები იმართება.) რაც შეეხება დავით სანაკოევის ახლანდელ დიპლომატიურ საქმიანობას, ის ჩავარდა.

„რეგნუმი" იუწყება, რომ დავით სანაკოევისა და ცხინვალის მერის, ალან ალბოროვის პრესკონფერენცია, სულ ცოტა, უცნაურად გამოიყურებოდა – ქაღალდს, რომელიც მათ ჟურნალისტებს წარუდგინეს, იურიდიული ვალდებულება არ გააჩნია. ესაა შეთანხმება სარდინიაზე მდებარე ლანუზეას კომუნასა (5, 5-ათასიანი მოსახლეობით) და ცხინვალს შორის „რაღაც აბსტრაქტული ჰუმანიტარული თანამშრომლობის შესახებ მშვიდობისთვის მთელ მსოფლიოში".

სააგენტოს ცნობით, იტალიის საკურორტო ქალაქის მერია ევროსოციალისტური ტიპის მემარცხენეებისგან შედგება. მათთვის ასეთი შეთანხმებები პოლიტიკური საქმიანობის ფორმაა.

– სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის ეს არაფერს ნიშნავს,ვინაიდან, ტექსტში არაა სიტყვები „სახელმწიფო" და „დამოუკიდებლობა" შეთანხმებაში სიტყვა „ოსეთიც" არ მოიხსენიება, – წერს „რეგნუმი"

თუმცა, სანაკოევის უწყების სრული უმოქმედობის ფონზე სანაკოევი-ალბოროვის პრესკონფერენიაც კი ანუ „ეს უცნაური აქციაც აღქმულ იქნა, როგორც „ევროპაში გარღვევა." მოგვიანებით სიხარული შენელდა და ყველამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ დავით სანაკოევი იქცეოდა არა როგორც „საგარეო საქმეთა მინისტრი, არამედ როგორც პარტია „ახალი ოსეთის" ლიდერი წინასაარჩევნოდ".

– ყველაფერი ეს კონტრასტში მოდის აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ალიარების გაფართოებას სოხუმიც ცდილობს, მაგრამ აფხაზეთი ამ ამოცანის გადაჭრას სისტემურად უდგება. თუმცა, ფუნდამენტალური ჩავარდნები იქაც ხდება. ამის მაგალითად გამოდგება ერთ-ერთი ტრანსნაციონალური პიარკომპანიის ანგაჟირება. ამ კომპანიამ დასავლურ მასმედიაში აფხაზეთის იმიჯის გაუმჯობესება იკისრა, მაგრამ, ექსპერიმენტი წარუმატებლად დასრულდა, – აღნიშნავს სააგენტო.

„რეგნუმი" ჩვენთვის მობლიურ ჟენევის მოლაპარაკებებსაც ახსენებს და მის უშედეგობაზეც საუბრობს, თუმაცა, მიუთითებს, რომ „ეს მოლაპარაკებები რჩება თითქმის ერთადერთ მოედნად, რომელზეც სამხრეთ ოსეთს შეუძლია თავისი არგუმენტირებული პოზიციის დემონსტრირება. ამ მოლაპარაკებებზე საგანგებო წარმომადგენლის მურატ ჯიოევის ძალისხმევით, სწორედ ეს ხდება.

სააგენტო ევროკავშირის წარმომადგენლის ფილიპ ლეფორის განცხადებასაც ეხება. შეგახსენებთ, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ლეფორმა მხარდაჭერა გამოუცხადა „სამხრეთი ოსეთის" დამოუკიდებლობას.

– იმ დღესაც კი, როდესაც რეგიონში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა ფილიპ ლეფორმა გააკეთა თავისი ცნობილი სენსაციური განცხადება, დავით სანაკოევი მოსკოვში იმყოფებოდა, – წერს „რეგნუმი".

სააგენტო ურჩევს ცხინვალს, მოახდინოს საგარეო სამინისტროს დეპოლიტიზაცია და გარდაქმნა.

# შიხიაშვილი ამერიკულ მედიას შეხვდება

მარიკა მჭედლიშვილი

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი აშშ-ს მედიას შეხვდება. საკითხავია, ისაუბრებს თუ არა ის იმაზე, რაც აქ ტრიალებს.

დაახლოებით ორი კვირაა, რაც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ქართული მედიის ვარსკვლავად იქცა. ის ხან სკანდალურად უპირისპირდებოდა დედაქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელს, სევდია უგრეხელიძეს, ხან ქალაქის მთავრობის გადადგომას მოითხოვდა, ხან თბილისელებს მოგვმართავდა, ხან ჩაბნელებულ ტელეანძას ანათებდა. ამის თავიდათავი 2014 წლის დაუმტკიცებელი ბიუჯეტია.

– ჩვენ პირობისამებრ დავხვეწავთ და სრულვყოფთ თბილისის ბიუჯეტს, თუმცა, გვაქვს კითხვა თბილისელებთან – შეიძლება ვანდოთ 800-მილიონიანი ბიუჯეტი დასახარჯად გიგი უგულავას, რომელსაც თბილისელებისათვის 50 მილიონის მოპარვაში აქვს ბრალი წაყენებული? თანაც, იმ რეალობაში, როდესაც ის არაფერზე არის პასუხისმგებელი და ხელის მომწერი? – მრისხანებდა ირაკლი შიხიაშვილი.

კვირის ბოლოს გაირკვა, რომ თბილისის საკრებულოს უმრავლესობა და მერია „შერიგდნენ", ქალაქია მთავრობა კი ბიუჯეტის შეთანხმებულ ვარიანტს წარმოადგენს, რომლის განხილვაც 12 თებერვალს იგეგმება.



მანამდე კი, ირაკლი შიხიაშვილი აშშ-ს „დალაშქრავს". საკრებულოს თავმჯდომარე თავის ორ მოადგილესთან, ჯაბა სამუშიასთან და გიორგი ტყემალაძესთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. იქ გაიმართება შეხვედრები ნიუ-იორკის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელთან, ამერიკელ სენატორებთან, სხვა ოფიციალურ პირებთან, ქართველ ემიგრანტებთან, ასევე, იქაურ მედიასთან.

საინტერესოა, როგორ დაიცავს სიმართლეს და როგორ ამხელს „ნაციონალების" რეჟიმს თბილისის საკრებულოს დელეგაცია იმ სუპერსახელმწიფოში, სადაც „ნაცებს" უთვალავი მხარდამჭერი და ლობისტი ჰყავთ.

# ახალი ფრონტის ხაზი – არასამთავრობო სექტორი

**მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლისა და სამოქალაქო სექტორში გადაბარგების შესახებ განცხადება გააკეთა, მუდამ აქტუალური იყო კითხვა, სად წავიდოდა ივანიშვილი და რა მიმართულებით გააგრძელებდა ის მოღვაწეობას.**

**საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესის ამავე რუბრიკაში საკმაოდ ხშირად ვწერდით, რომ თუ პრემიერი სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას რეალურად გადაწყვეტდა, მაშინ ის მოღვაწეობას არასამთავრობო სექტორში გააგრძელებდა, რაც გასულ კვირაში პრაქტიკულად დადასტურდა კიდეც.**

ასე, რომ ბიძინა ივანიშვილის მიერ არასამთვარობო ორგანიზაციის დაფუძნება მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა და შეიძლება ითქვას, რომ ეს ძალიან დროულიც კია, თუ დაგვიანებული არა.

რა ხდებოდა დღემდე აღნიშნულ სეგმენტში და რა მდგომარეობაში იყო საქართველოში არასამთავრობო სექტორი?

პასუხი სამწუხაროდ არცთუ სახარბიელოა, ვინაიდან ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი დაფინანსებით, პრაქტიკულად არ არსებობდა, ხოლო თუ არსებობდა, მათი მწირი რესურსებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივ აზრზე და მითუმეტეს პოლიტიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან და სერიოზულ გავლენას ვერ ახდენდნენ.

რაც შეეხება უცხოური დაფინანსებით არსებულ არასამთავრობოებს, მათ სიმცირეს ქართული რეალობა დღესაც არ უჩივის და უნდა აღინიშნოს, რომ მათი გავლენა ქართულ პოლიტიკაზე იმაზე დიდია, ვიდრე ეს შეიძლება დასაშვები იყოს.

ზოგადად, ამავე რუბრიკაში ადრეც გვითქვამს და დაგვიწერია, რომ ამა თუ იმ არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებით, დამფინანსებელი ქვეყანა თუ ორგანიზაცია, ცდილობს არაპირდაპირ ჩაერიოს იმ ქვეყნის შიდა საქმეებში, სადაც არასამთავრობოს აფინანსებს.

უფრო კონკრეტულად, ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს საქმიანობაში ღიად ჩარევა, საერთაშორისო სამართლით იკრძალება და ამის მკაფიო გამოხატულებაზე, როგორც წესი, მთელ მსოფლიოს მკვეთრი რეაქცია აქვს, მაგრამ როცა იმ ქვეყანაში გყავს შენს მიერ დაფინანსებული ძლიერი და გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაცია, მაშინ შიდა საქმეებში ღიად ჩარევისგან, რა თქმა უნდა თავს შეიკავებ და ამისთვის საკუთარ არასამთავრობოს გამოიყენებ.

ეს, მსოფლიოს წამყვანი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მიერ დანერგილი საკმაოდ აპრობირებული მეთოდია და რა გასაკვირია, რომ ამ ზეგავლენას ვერც საქართველო გადაურჩა.



როდესაც ვამბობთ საქართველოც ვერ გადაურჩაო, ვგულისხმობთ იმას, რომ განვითარებული ქვეყნები, თავიანთ მიერ დაფინანსებულ არასამთავრობოებს, ძირითადად იმ ქვეყნების შიდა საქმეებში ჩასარევად იყენებენ, რომელთა ეკონომიკა და შესაბამისად სახელმწიფოებრიობაც სუსტადაა განვითარებული.

რაც შეეხება ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებს, იქ უცხოეთისგან დაფინანსებული არასამთავრობოების ჭაჭანებაც არაა, ან უკეთეს შემთხვევაში მათი უფლებები მკაცრადაა განსაზღვრული.

ამის მაგალითად რუსეთიც საკმარისია, სადაც საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ნებისმიერი ორგანიზაცია „უცხო ქვეყნის აგენტის" სტატუსს ატარებს და სამოქმედო არეალიც მკვეთრად შემოსაზღვრული აქვს. იგივე ხდება დემოკრატიის მექად აღიარებულ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

ასე, რომ საქართველოში მოქმედ გავლენიან არასამთავრობოთა აბსოლუტურ უმრავლესობას, შეიძლება უცხო ქვეყნის ემისრის სტატუსი მივანიჭოთ და განვიხილოთ, როგორც ამ ქვეყნების ინტერესის გამტარებელი ორგანიზაცია.

ესაა მიზეზი იმისა, რომ დღიდან არასამთავრობოთა ინსტიტუტის საქართველოში დამკვიდრებისა, მათი პოზიცია ქართველი ხალხისა და საზოგადოების პოზიციისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და განსხვავდება.

ამის დასტურად, ქვეყნის უახლესი ისტორიაც გამოდგება, როცა, ქართველი ხალხის გამაღიზიანებელ კოჰაბიტაციას, გარკვეულ სახელისუფლებო ძალებთან ერთად, კბილებით სწორედ აღნიშნული არასამთავრობოები იცავდნენ და მაქსიმალურად ცდილობდნენ, წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები მიეჩქმალათ და საზოგადოების ფართო მასებამდე ამ დანაშაულების ტირაჟირებისთვის ხელი შეეშალათ.

რას აკეთებდნენ აღნიშნული ორგანიზაციები მანამ, სანამ მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში მყარად იმყოფებოდა და ედგნენ თუ არა სააკაშვილის მთავრობას კრიჭაში ისე, როგორც ახალ მთავრობას უდგანან?

რა თქმა უნდა არა. მართალია ხანდახან, ცალკეულ ეპიზოდებზე ისინი თითქოსდა ხმას აღიმაღლებდნენ, მაგრამ უმალვე ჩუმდებოდნენ და ყველაფერი მაინც ისე მიდიოდა, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილს და მის რეჟიმს აწყობდა.

დღეს კი, გარკვეულ ძალებს, რომლებიც საქართველოში გავლენის დაკარგვას ვერ ეგუებიან, ეს არასამთავრობოებიც მაქსიმალურად ჰყავთ ჩართული ბრძოლაში ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ და ხშირ შემთხვევაში არცთუ უშედეგოდ.

ასე, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში სამოქალაქო და ეროვნულ საფუძვლებზე დამყარებული არასამთავრობო სექტორის გაძლიერება ძალიან დროულია, თუ დაგვიანებული არა.

სამწუხაროდ, დიდ ქვეყნებს, თუნდაც ისეთს როგორიც რუსეთია, შეუძლია, რომ კანონის ძალით აკრძალოს უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, მაგრამ იგივეს გაკეთება საქართველოს ტოლი და სიძლიერის მქონე ქვეყნისგან, მთელი მსოფლიოს მიერ მყისიერად მოინათლება როგორც დემოკრატიულ ღირებულებებზე მიტანილი შტურმი.

არადა, საფრთხე იმისა, რომ არასამავრობო სექტორი ეცდება ქვეყნის განვითარება შეაფერხოს და მმართველ ძალას პრობლემები შეუქმნას, მუდმივად იარსებებს, მიუხედავად იმისა, რა პროგრესიც არ უნდა განიცადოს ქვეყანამ ეკონომიკური თუ დემოკრატიული თვალსაზრისით.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, რაც არ უნდა მაღალ დონეზე აიყვანოს ქვეყანამ დემოკრატიული პრინციპებისადმი პატივისცემა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, თუ მისი განვითარება გარკვეული ქვეყნებისთვის პოლიტიკურად მიუღებელი იქნება, ისინი მუდამ ეცდებიან თავიანთი დაფინანსებული და კონტროლირებადი არასამთავრობოების მეშვეობით, ერთის მხრივ ქვეყნის გარეთ დახატონ სურათი არსებული „დიქტატურის" შესახებ, ხოლო ქვეყნის შიგნით, ყველანაირად შეუშალონ ხელი პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ დემოკრატიულ განვითარებას.

როგორც აღვნიშნეთ, ეს საფრთხე მუდმივად იარსებებს და მას ვერც საკანონმდებლო დონეზე ვერ ავკრძალავთ.

ასეთ შემთხვევაში რჩება ერთადერთი რამ: ღირსეული და ძლიერი კონკურენცია უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების მიმართ, რაც მოგეხსენებათ საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსსს მოითხოვს, ხოლო აღნიშნული ფინანსური რესურსის ნაკლებობას ის ადამიანი, ვინც სამოქალაქო სექტორში წასვლა გადაწყვიტა, - ნამდვილად არ უჩივის. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხანგრძლივი პერსპექტივისთვის, უნდა შეიქმნას ისეთი ინსტიტუციები, რომელიც განაპირობებს იმას, რომ არასამთავრობო სექტორი მხოლოდ ერთი ადამიანის ფინანსურ შესაძლებლობებზე არ იყოს დამოკიდებული. აქ, რა თქმა უნდა, უცხოურ კაპიტალს არ ვგულისხმობთ.

იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილს ჩვენს მიერ ნახსენები კონკურენციის გეგმა გულდასმით აქვს გაწერილი, მაშინ, საზოგადოების განწყობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ მას ამ კონკურენციის დაძლევა არ უნდა გაუჭირდეს.

გარდა იმ პოზიტივისა, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ, ყოფილი პრემიერის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ქვეყნის პოლიტიკური განვითარების კუთხით გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავს, საიდანაც უმთავრესი საფრთხე ისაა, რომ ივანიშვილის მიერ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე," ქვეყნის ფაქტობრივ მთავრობად არ გადაიქცეს.

ამ საფრთხეს საკმაოდ რეალური საფუძველი გააჩნია.

დავიწყოთ იქედან, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელმაც ქვეყანა თითქმის ათწლიანი ავტორიტარული რეჟიმისგან იხსნა და მიუხედავად იმისა, რომ ის დღეს პოლიტიკაში აღარ არის, საზოგადოების კეთილგანწყობა მის მიმართ გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე დღეს მოქმედი, ხელისუფლებაში მის მიერვე მოყვანილი პოლიტიკოსების მიმართ.

მეორეც, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის მოყვანილია და იარსებებს საფრთხე, რომ მისი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაკეთებული ნებისმიერი სახის დასკვნა და შენიშვნა, თუნდაც ის მცდარიც იყოს, აღმასრულებელი ხელისუფლების ამა თუ იმ წარმომადგენელმა სახელმძღვანელო დებულებად მიიღოს, რაც დროთა განმავლობაში გამოიწვევს სწორედ იმას, რომ ორგანიზაცია „მოქალაქე" ქვეყნის ჩრდილოვან, თუმცა რეალურ ხელისუფლებად გადაიქცევა.

იმედია ეს საფრთხეები და გამოწვევები საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს წინასწარ აქვს აწონილი, მითუმეტეს, რომ ნაციონალური მოძრაობაც და იგივე, უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოებიც, ასეთი ფაქტის ნებისმიერ გამოვლინებას შეაფასებენ, როგორც ბიძინა ივანიშვილის რეალურ დე-ფაქტო მმართველობად.

რა მიმართულებებით დაიწყებს მუშაობას ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია და რა იქნება მისი პრიორიტეტები?

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ლაშა ჩხარტიშვილი: „თუ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება არ დაიწყო, აქციებს გავმართავთ!“

ნათია ხურცილავა

## ინტერვიუ უფლებადამცველ ლაშა ჩხარტიშვილთან

*— მუხროვანის ე.წ. ბუნტის შესახებ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერზე რას იტყვით, როგორც უფლებადამცველი?*

— პირადად მე, როგორც უფლებადამცველი, როგორც იმ ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი ღიად და დაუფარავად ვსაუბრობდი, რომ მუხროვანის ე.წ. ამბოხი იყო მხოლოდ და მხოლოდ ინსინვაცია, სპეკულაცია, რომელიც მიზნად ისახავდა მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ჩახშობას. ყურადღების გადატანას. სწორედ ამას შესწირეს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სწორედ ამის გამო მოკლეს გია კრიალაშვილი. იმთავითვე ნათელი იყო, რომ მიხეილ სააკაშვილისგან და ვანო მერაბიშვილისგან მოდიოდა ეს ყველაფერი. მათი საჯარო განცხადებები სწორედ ამისკენ მიუთითებდა. რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის მხრიდან თავის მართლებას, რომ თურმე ლიკვიდაცია ლიკვიდაციას არ ნიშნავს. თურმე სიტყვა „გვამი“ გვამს არ ნიშნავს. ეს ხომ არასერიოზულია. ჩვენ გვახსოვს სხვა ამგვარი შემთხვევებიც, როდესაც მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი, განსაკუთრებით ეს ორი დამნაშავე (ჩემი შეფასებით და არამხოლოდ ჩემი შეფასებით) საჯაროდ აკეთებდნენ მოწოდებებს პოლიციელების მიმართ, სხვების მიმართ, რომ მათ ხელი არ აკანკალებოდათ და პირდაპირ ესროლათ. ეს განცხადებები ისმოდა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან, სხვადასხვა ადგილიდან. სწორედ მათ ასეთ განცხადებებსა და დამოკიდებულებებს შეეწირა ადამიანების სიცოცხლე. ყველას კარგად ახსოვს ქუჩებში დახვრეტები. ადამიანის სიცოცხლე ყოფილი ხელისუფლებისთვის არავითარ ფასეულობას რომ არ წარმოადგენდა ეს ღიად ჩანდა და ამის ნათელი მაგალითი იყო მუხროვანში განვითარებული მოვლენები. მინდა იმედი დავიტოვო, რომ ახალი ხელისუფლება და პროკურატურა ახლა მაინც ველარ აარიდებენ თავს დამნაშავეთა დასჯას და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებას.

*— ეს მასალა სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების პირობას იძლევა?*

— აქამდეც უნდა მისულიყო. აქამდეც უნდა მისულიყო. სააკაშვილის სხვა განცხადებებიც, თუნდაც აფრასიძეების ოჯახთან დაკავშირებით უნდა გამხდარიყო ძიების საფუძველი, რადგან სააკაშვილი ღიად და საჯაროდ აცხადებდა, რომ მან გასცა ბრძანება აფრასიძეებთან დაკავშირებით. არც ამ საქმეებზე და არც სხვა საქმეებზე დღეს გამოძიება დაწყებული არ არის. ვერ დავეთანხმები „ქართული ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებას, რომ თურმე ხელისუფლებამ პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის წინააღმდეგ უნდა დაიწყოს გამოძიება და ვის წინააღმდეგ არა.

*— კონკრეტულად?*

— ამაზე საუბარია მაშინ, როდესაც საქმე ეხება ექსპრეზიდენტ სააკაშვილს. ზოგადად პრეზიდენტს. ეს აბსურდია, ეს დემოკრატიის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებაა. ჩვენ მოქმედ ხელისუფლებას მოვუწოდებთ, რომ კანონის უზენაესობის, სამართლიანობის ძირითადი და ფუნდამენტური პრინციპიდან გამომდინარე იმოქმედოს და არა პოლიტიკური, საგარე და საშინაო ფაქტორების გათვალისწინებით.

*— თქვენი მოთხოვნა როგორია?*

— დაიწყოს გამოძიება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ, ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობის სხვა ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებში არიან დამნაშავეები. თუნდაც სტრასბურის გადაწყვეტილება, სადაც საუბარია გირგვლიანის მკვლელების მფარველობაზე, ამაში ჩართული იყო ყოფილი პრეზიდენტი, ყოფილი გენერალური პროკურორი, მერაბიშვილი, სასჯელაღსრულების სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობა. 26 მაისის აქციის დარბევაც აშკარად ატარებდა წინასწარ განზრახულ ხასიათს. ეს არ იყო შემთხვევითი მსხვერპლი.



*— ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და ადამიანები დაიკითხნენ...*

— მიმდინარეობს, მაგრამ ძალიან დაბალი ტემპებით. მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება დაწყებული არ არის. ეს სამარცხვინოა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს დაუსჯელობის სინდრომი, მათ შორის უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართ. თუ ყოფილ პრეზიდენტს ხელშეუხებლობის გარანტია მიეცა მოქმედი ხელისუფლებისგან, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სულ ცოტა ხანში ახალი გვამებისთვის გაცემული პრემიები ვიხილოთ. ამიტომ პრინციპული საკითხია, რომ მოხდეს ობიექტური და სრულფასოვანი გამოძიება ყველა დამნაშავე პირის მიმართ. უნდა შეიქმნას პრეცედენტი, რომ არანაირი თანამდებობა არ შეიძლება ხელშეუხებლობის გარანტია იყოს. მით უმეტეს, ისეთი მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, როგორიც ადამიანის მკვლელობაა.

*— მუხროვანის საქმეზე ობიექტური გამოძიების შედეგებს ელოდებით?*

— ეს საზოგადოების აქტიურობაზეა დამოკიდებული. საზოგადოება თუ არის მზად, რომ დაიცვას საკუთარი ინტერესები, საკუთარი შვილების სიცოცხლე, ამ შემთხვევაში ხელისუფლება იძულებული გახდება, ამ გზას მიმართოს და თავი დაანებოს სამარცხვინო კოჰაბიტაციას.

*— კოჰაბიტაციის პერიოდი ხომ დასრულდა?*

— კოჰაბიტაცია რეალურად არ დასრულებულა. ამის მთავარი დასტურია ის, რომ უმძიმესი დამნაშავეები კვლავაც დაუსჯელები რჩებიან. ხშირ შემთხვევაში გამოძიება ფორმალურ ხასიათს ატარებს. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ხელისუფლება, რომ მან არჩევანი გააკეთოს სამართლიანობის სასარგებლოდ და არა პირადი ინტერესების სასარგებლოდ. ჩვენ, ადამიანებმა, ვისაც უნდა, რომ სამართლიან სახელმწიფოში ვიცხოვროთ, ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რადგან ჩანს, რომ ხელისუფლება ამას დამოუკიდებლად არ აპირებს.

*— სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყებაზე ხელისუფლების მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები განცხადებებს აკეთებენ...*

— სამწუხაროდ, ნიშნები მხოლოდ ფასადურია და არა არსებითი. სასამართლოს რეფორმირება არ მომხდარა. სასამართლოში იგივე მდგომარეობაა. კვლავ ის ადამიანები განაგებენ საქმეებს, რომლებიც წლების განმავლობაში უდანაშაულო ადამიანებს ციხეებში სვამდნენ. შეუძლებელია, სამართლიანობა იყოს დაცული იქ, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირება არ მომხდარა. კვლავ ძალაშია მოსმენები. კვლავ არსებობს ოდეერების ინსტიტუტი.

*— რის საფუძველზე ამბობთ ამას?*

— თვითონ სისტემის საფუძველზე. სამინისტროს სტრუქტურაზე დაყრდნობით, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა 2006 წელს შექმნა და ვანო მერაბიშვილი ჩაუყენა სათავეში. მაშინ გააერთიანა უშიშროების სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო. ეს სტრუქტურა დღეს ისევ ერთიანია, მიუხედავად დაპირებისა, რომ მათი დაშლა მოხდებოდა. ჩვენ, „თანასწორობის ინსტიტუტის“ მაშინდელი ლიდერები ამის წინააღმდეგ გამოვდიოდით. ახლა მაინც უნდა დაიწყოს სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება. ამისთვის ჩვენ ერთკვირიან ვადას ვაძლევთ ხელისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ აქციებს დავიწყებთ.

*— რა იქნება მოთხოვნა?*

— რომ დაიწყოს გამოძიების პროცესი და დაისაჯონ დამნაშავეები, რომ იგივე საფრთხეში არ აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყანა, რა საფრთხეც ცოტა ხნის წინ გამოვიარეთ.

# კულტურის სამინისტრო: „ყველა ექსპონატი ადგილზეა“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ეროვნულ მუზეუმში დაცულ ექსპონატებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„უკანასკნელ წლებში მედიასაშუალებებში გავრცელებული იყო ინფორმაცია საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან საგამოფენოდ გატანილი ექსპონატების დაკარგვისა და ორიგინალების ასლებით შეცვლის თაობაზე.

აღნიშნულიდან და საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის № 03/92 ბრძანებით, შეიქმნა „საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან 2004-2012 წ.წ. ექსპონატების გატანა-შემოტანის საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისია“, რომელიც დაკომპლექტდა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. კომისია სექტემბრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით, მუშაობდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და შეისწავლა 2004-2012 წ.წ. მუზეუმიდან გატანილი საგამოფენო ექსპონატები და გატანა-შემოტანასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. როგორც კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნიდან ირკვევა, აღნიშნულ წლებში მუზეუმიდან გატანილი იყო ნიკო ფიროსმანაშვილის 51 ნამუშევარი (უკრაინა, თურქეთი, ბელორუსი, ლიტვა, საფრანგეთი და ჰოლანდია) და 460-ზე მეტი არქეოლოგიური ექსპონატი.

კომისიის მიერ ექსპონატების თანმხლები დოკუმენტაციის, შენახვა-დაცვის პირობებისა და მათი მდგომარეობის ვიზუალური შესწავლით დადგინდა, რომ ყველა ექსპონატი ადგილზეა და მათი ავთენტურობა ეჭვს არ იწვევს“, – აღნიშნულია გურამ ოდიშარიას უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# დავაბრუნოთ ქართული კინო სამშობლოში!

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რუსეთის არქივების ხელმძღვანელობა, ქართული კინემატოგრაფის დამსახურებული და ცნობილი მოღვაწეების ავტორიტეტითა და თხოვნით, მზადაა ე. წ. „ციფრული ნეგატივების“ სახით მთელი ფონდი გადმოსცეს საქართველოს.

კულტურის სამინისტრო თითქმის ერთი წელია იხილავს პროექტს და ძირითადად დუმილის რეჟიმშია! ძვირფასო მეგობრებო, ვინც განიცდის ქართული ფილმების დაკაწრულ, დაჩხაპნილ, გაწითლებულ-გამწვანებულ და ვინ იცის, კიდევ როგორ მდგომარეობას, გთხოვთ შემოგვიერთდით! შემოგვთავაზეთ თქვენი წინადადებები, რომ როგორმე შევასმინოთ მავანთ მარტივი ჭეშმარიტება – ქართული კინომემკვიდრეობა ჩვენია და ჩვენივე საპატრონებელი!

ის რაც დღეს საქართველოშია! ის რაც დღეს გადის ტელევიზიით! ის რითაც „ვამაყობთ“! ის რასაც „ვუფრთხილდებით“! ის რაც უნდა გავუშვათ მუნიციპალურ კინოთეატრებში!!! მოკლედ, როგორც ყოველთვის გულზე ხელს ვირტყამთ ჩვენს ქართველობასა და პატრიოტიზმზე, და სამაგიეროდ არაფერს არ ვაკეთებთ!

კულტურული პროცესები სტაგნაციაშია. არაფერი არ იძვრის. ყველაფერი გაჩერებულია. იმიტომ, რომ არც ერთი ფილმი, კონცერტი, ფესტივალი, გამოფენა არ მომდინარეობს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კონტექსტიდან. ანი ჯაჭვი – პირველადი განათლება – საშუალო სპეციალიზაცია – უმაღლესი – კრიტიკა – აქტუალური თემატიკა – რეფომეტორული კონცეფცია – ახალი იდეა – დრამატურგია – ქვეყნის ფარგლებში ხელოვნების აქტუალობა... გახსოვთ თელავის ფესტივალები? რა იყო მაშინ და რა არის დღეს? დღეს თელავის ფესტივალს სახელმწიფოებრივი დატვირთვა არ აქვს, არ არის საყოველთაო მოვლენა. და მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალს აკეთებენ საოცარი პროფესიონალები, არაფერი არ გამოგვივა, ვიდრე სახელმწიფო არ მიხვდება ამ მუსიკალური მოვლენის მნიშვნელობას!, – აღნიშნულია საგანგებო განცხადებაში.

# ახალი ფრონტის ხაზი – არასამთავრობო სექტორი

დასაწყისი მე-6 გვერდზე

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, გარდა უცხოური დაფინანსებით მოქმედ არასამთავრობოებთან კონკურენციისა, ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაციას მუშაობის რამდენიმე პრიორიტეტი ექნება, რომლებიც თავის მხრივ, გარკვეული საფრთხეებს ასევე შეიცავენ.

ივანიშვილის ახალი არასამთავრობოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი, მოქმედი აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების მონიტორინგი და მისი პირუთვნელი შეფასება იქნება.

ამ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ პიროვნულ ფაქტორს გადააბიჯოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მოქმედ წარმომადგენლებს, მათ შორის, პრემიერ-მინისტრსაც, უცხო და ობიექტური თვალით შეხედოს. ამავდროულად, მაქსიმალური დისტანცირება უნდა მოახდინოს აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებთან, მიუხედავად პიროვნული თუ ოჯახური სიახლოვისა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იარსებებს საფრთხე მისი სუბიექტური აზრის გავლენის ქვეშ მოქცევისა და უფრო მეტიც, დაიხატება სურათი, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება და მისი ძირითადი მაკონტროლებელი არასამთავრობო სტრუქტურა ერთმანეთშია ათქვეფილი.

იდეალური ვარიანტი იქნება, თუ ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია იქნება კვალიფიციური გამკრიტიკებელი აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლებისა, ხოლო ხელისუფლების ნებისმიერი შტო, მის კრიტიკას ბრმად კი არ დაეთანხმება, არამედ მაქსიმალურად შეეცდება თავისი პოზიციები დაიცვას. ამ რეჟიმში კი, სიმართლე, ჭეშმარიტება და სწორი გამოსავალი აუცილებლად გამოჩნდება.

კიდევ ერთი პრიორიტეტი, რაც სავარაუდოდ ახალ არასამთავრობო ორგანიზაციას ექნება, ეს ქვეყანაში მოქმედ პოლიტიკურ სპექტრთან ურთიერთობაა. ბიძინა ივანიშვილისთვის კი, როგორც პიროვნებისთვის ეს პრიორიტეტიც გამოწვევა იქნება, რადგან მან ისევ და ისევ უნდა შეძლოს და ამ საკითხში, ადამიანურ ურთიერთობებზე მაღლა დადგეს, რადგან ესა თუ ის პოლიტიკური ძალა პრივილეგირებულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს, რაც ცნობილი ფორმულის მიხედვით, ამ ძალისთვის, აუცილებლად გარყვნის დასაწყისი გახდება.

ახალმა არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა შექმნას აბსოლუტურად პარიტეტული დამოკიდებულება ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ და პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ პოლიტიკურ ძალას, ვისი ხედვაც ქვეყნის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

ყოფილ პრემიერს, სამოქალაქო სექტორში გადასვლის შემდეგ, აუცილებლად დაუდგება აგრეთვე თავისუფალი მედიის განვითარების პრიორიტეტი.

სამწუხარო რეალობაა, რომ მიხეილ სააკაშვილის დროს მედიის უდიდესი ნაწილი მთლიანად პოლიტიზირებული იყო და ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესებს ატარებდა. ეს ტენდენცია, სამწუხაროდ დღესაც გრძელდება და ის მედიასაშუალებები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დროს, პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ, ძველი სიკეთის თუ სხვა ფაქტორების დამსახურებით, დომინანტის როლს გარკვეულწილად დღემდე ინარჩუნებენ. ყოველ შემთხვევაში, მედიასივრცეში არსებულ ამინდზე გავლენას ახდენენ.

სწორედ ესაა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი გამოწვევა ყოფილი პრემიერისთვის, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში იმ ჟურნალისტური სტანდარტის დამკვიდრებას, რომელიც ტენდენციურობასა და არაობიექტურობას მაქსიმალურად გამორიცხავს, ხოლო საზოგადოების ცნობიერზე მოახდინოს ისეთი გავლენა, რომ საზოგადოებამ, ტენდენციური და არაობიექტური მედიასაშუალება თვითონვე გარიყოს და არაყურებადი და არაკითხვადი გახადოს.

და ბოლოს, ყველაზე დიდი გამოწვევა, რაც ბიძინა ივანიშვილს სამოქალაქო სექტორში გადასვლის შემდეგ დაუდგება, ეს თავად საზოგადოების იდეურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარება-ჩამოყალიბებაა, რის დეფიციტსაც ქართველი საზოგადოება სამწუხაროდ ასერიგად განიცდის და რისი წყალობითაც მივედით იმ დონემდე რა დონემდეც დღეს ვართ, როცა ერი, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ტერორის შიშისგან ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა.

უნდა მოხერხდეს და საზოგადოების ცნობიერება იმ დონემდე გაიზარდოს, რომ მან ხელისუფლების მიერ ავტორიტარიზმისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი და ნაბიჯის მცდელობა ძირშივე აღკვეთოს, რომ არ მივიღოთ ის რეალობა, რა რეალობაშიც ქვეყანა ჯერ კიდევ ორი წლის წინ ცხოვრობდა.

საზოგადოებამ უნდა გაითავისოს, რომ ხელისუფლების ნებისმიერი შტო, იქნება ის აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო, მის მიერაა არჩეული თუ დანიშნული, მის მიერ გადახდილი გადასახადებიდან ფინანსდება და ანგარიშვალდებულიც სწორედ საზოგადოების ნებისმიერ წევრთანაა.

სანამ საზოგადოების ცნობიერში ეს ღრმად არ ჩაჯდება, მანამ ქვეყანას განვითარების ხანგრძლივი პერსპექტივა არ ექნება.

საზოგადოებამ უნდა ისწავლოს აგრეთვე სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ, რაც ისევ და ისევ უპირველესი საწინდარია იმისა, რომ ის, დამონებულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

საზოგადოებამ უნდა ისწავლოს გადაწყვეტილების არა ცხელ გულზე, არამედ განსჯის შედეგად მიღება, ვინაიდან ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილებების „სიკეთეს,“ სამწუხაროდ, დღემდე ვიმკით და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მოვიმკით.

საზოგადოებამ უნდა ისწავლოს არჩევანის გაკეთება არა ლამაზი დაპირებების, ან ცალკეული პიროვნებების პატივისცემის გამო, არამედ ცივი გონებით და ღრმა განსჯის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით.

ქვეყნის პოლიტიკურ კულტურაში აუცილებლად უნდა დამკვიდრდეს წინასაარჩევნოდ არა ლამაზი სიტყვებით, არამედ კონკრეტული პროგრამით წარდგომის კულტურა, საზოგადოებამ კი არჩევანი არა პიროვნული სიმპათიის, არამედ მისაღები და მისთვის სასარგებლო პროგრამის მიხედვით უნდა გააკეთოს, ხოლო თუ მის მიერ არჩეული პოლიტიკური ძალა იმ პროგრამის განხორციელებაზე უარს იტყვის, რის გამოც მას ხალხმა ხმა მისცა, მაშინ საზოგადოება მზად უნდა იყოს, რომ ხელისუფლებას პროგრამის შესრულება აიძულოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ძალაუფლებას ჩამოაშოროს.

საზოგადოებამ უნდა ისწავლოს აგრეთვე, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს საგარეო პოლიტიკური ვექტორის არჩევისას. უნდა მიენდოს ბრმა და ამავდროულად ვარდისფერ დაპირებებს, თუ არჩევანი მისთვის სასარგებლო ალტერნატივაზე პრაგმატულად გააკეთოს.

ესაა იმ პრობლემათა მცირე ნაწილი, რომელიც სამწუხაროდ დღეს ქართველი საზოგადოების წინაშე დგას და რომელსაც აუცილებლად მიხედვა სჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი ნამდვილი ამოცანა ქვეყნის განვითარება და მისი დასავლური სტანდარტების რელსებზე გადაყვანაა.

ამ ყველაფრის გადასწყვეტად კი, საქართველოს ყოფილ პრემიერს, რომელიც უახლოეს ხანებში სამოქალაქო სექტორიდან მოგვევლინება, ნამდვილად დიდი რესურსი გააჩნია და თუ ის ამას რეალურად შეძლებს, ქვეყნის ისტორიაში უდავოდ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს.

**ალექსანდრე კაპანაძე**

**საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი**

# კახი ლაზარიშვილი: „დასი სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული!“

ეკა ირემაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჯუზეპე ვერდის „ბედის ძალა“ შესრულდა. ოთხ მოქმედებიან ოპერაში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალგაზრდული შემადგენლობა იყო წარმოდგენილი, სადირიჟორო პულტთან მაესტრო ჯან ლუკა მარჩანო იდგა. მთავარ პარტიებს მღეროდნენ ირინე რატიანი, არმაზ დარაშვილი, ნიკა ლაგვილავა, თეა დემურიშვილი, ზაზა ხელაია...



ჯუზეპე ვერდიმ „ბედის ძალა“ ესპანური რომანტიზმის მეთაურის, დრამატურგ დე საავერა გრაფი რივასის პიესის მიხედვით 1862 წელს პეტერბურგის „მარიას თეატრის“ დაკვეთით დაწერა და თავადვე დაესწრო ოპერის პრემიერას. როგორც ცნობილია, ამ ოპერის პრემიერა თბილისშიც მალე შედგა და „ბედის ძალა“ მრავალი წელი ამშვენებდა თბილისის ოპერის რეპერტუარს.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ეს ოპერა კვლავ აჟღერდა თბილისში და პრემიერაზე მისულ მსმენელთა შორის დარბაზში ისხდნენ მუსიკისმცოდნეები, მსახიობები, ტელე-წამყვანები, ხელოვნებათმცოდნეები. „ახალი თაობა“ შეხვდა და ესაუბრა ხელოვნებათმცოდნე კახი ლაზარიშვილს. სხვებივით, ისიც ფეხზე წამომდგარი უკრავდა ტაშს სპექტაკლში მონაწილეებს.

**კახი ლაზარიშვილი, ხელოვნებათმცოდნე:**

– პრემიერით კმაყოფილი ვარ. სხვათა შორის, ისიც უნდა ვაღიარო, რომ კმაყოფილი იშვიათად ვარ ხოლმე. დასი, რომელმაც ამ ურთულესი ოპერის შესრულება შეძლო, სათანადოდ უნდა იყოს დაფასებული, რომ მომავალში ვერცერთმა ხელმძღვანელმა ველარ შეძლოს და გაბედოს მათი პროფესიონალიზმის ეჭვის ქვეშ დაყენება და დაკნინება. არაჩვეულებრივია, როცა ჩვენი ვოკალისტები მსოფლიოს პირველ თეატრებში მღერიან, მაგრამ დიდი დანაშაული და შეცდომაა, როცა თბილისში გამართულ სხვადასხვა გალა-კონცერტებსა თუ პრემიერებში მხოლოდ მათ მიალებინებ მონაწილეობას და ადგილობრივ სოლისტებს არ მისცემ საშუალებას მათთან ერთად გამოვიდნენ და იმღერონ თბილისელი პუბლიკისათვის. ეს ტენდენცია ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს, რამეთუ თბილისის ოპერის თეატრის მიერ გამართული სხვადასხვა ღონისძიება სწორედ ამ თეატრის სოლისტების წარმოჩენას უნდა ემსახურებოდეს. თუმცა, როცა ამის საშუალება არის, ადგილობრივ დასთან ერთად, სხვა თეატრებში მოღვაწე ქართველი ვარსკვლავების მოსმენაც გაამრავალფეროვნებს მსგავს პროექტებს. ჩვენ ბევრი ნიჭიერი მომღერალი გვყავს, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით არაფრით ჩამოუვარდებიან საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ კოლეგებს და რადგანაც ასეთი კონცერტები ერთგვარი რეკლამაა საოპერო ხელოვნების შემსრულებლებისთვის, პირველ რიგში, საკუთარი დასის წარმოჩენასა და პოპულარიზაციაზე უნდა მუშაობდეს. უნიჭოდ და არასწორად დაგეგმილი მენეჯმენტის შემთხვევაში თეატრის ადგილობრივი სოლისტები ხშირად იჩაგრებიან, რაც მათ პროფესიონალიზმზე უარყოფითად მოქმედებს, ნებისმიერ მომღერალს სჭირდება სტიმული, დაფასება და წახალისება.

*– ჩვენი ოპერის დასს ასე კარგად იცნობთ?*

– ზოგადად, ძალიან მიყვარს და ვაფასებ საოპერო ხელოვნებას. მრავალი წელი მიმყავდა გადაცემები ტელევიზიით ჯერ მეორე არხზე, შემდეგ კი მეცხრე არხზე. უდიდესი პატივისცემით ვარ გამსჭვალული საქართველოს გარეთ მოღვაწე მომღერლების მიმართ. ბევრი მათგანი ჩემი ახლო მეგობარიცაა და ძალიან მიხარია მათი მსოფლიო აღიარება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თავის დროზე სწორედ ასეთმა არასწორმა მიდგომამ ამა თუ იმ მომღერლის მიმართ და არასათანადო დაფასებამ განაპირობა ის, რომ იძულებულები გახდნენ წასულიყვნენ და თავიანთი ნიჭის რეალიზება სხვაგან მოეხდინათ. თუ ეს ტენდენციური მიდგომა არ შეიცვალა და ადგილობრივ მომღერლებს არ დააინტერესებენ, სათანადოდ არ დააფასებენ და სამუშაო პირობებს არ შეუქმნიან, ერთ დღეს აღმოჩნდება, რომ თბილისის ოპერის თეატრს მისთვის შესაფერისი დასი არ ეყოლება.

*– არის ამის საშიშროება?*

– უპირველეს ყოვლისა, ყველა ხელმძღვანელმა თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ თეატრი მემკვიდრეობით არ მიუღია და ამ პოსტზე მუდმივად ყოფნის გარანტიაც არ აქვს... ამის შემდეგ, იგი ვალდებულია მოუაროს, გაუფრთხილდეს და იზრუნოს თეატრში მომუშავე ნებისმიერ წევრზე! უპატივცემულობით და უხეშობით ვერც საქმის გაკეთებას შეძლებენ და არც მომღერლის კეთილგანწყობას მიიღებენ. თუმცა, უკომპრომისობა და პრინციპულობა სულაც არ გულისხმობს უხეშობას. თეატრში დისციპლინა აუცილებლად უნდა იყოს. ეს პატარა სახელმწიფოა სახელმწიფოში, რომელსაც ბრძენი, გონიერი, გამოცდილი, კვალიფიციური და მაღალი რეიტინგის ადამიანი უნდა ხელმძღვანელობდეს. ისევე, როგორც ქვეყნის ხელისუფალი, თეატრის ხელმძღვანელიც პატრიოტი, თეატრის ინტერესების დამცველი და აღმშენებლობით დაინტერესებული პიროვნება უნდა იყოს. საოპერო ჟანრში წარმატებული და რეალიზებული პროფესიონალი. უნიჭო და კომპლექსიან ადამიანს არ უნდა ჩაუვარდეს ოპერის თეატრი ხელში, რადგან ის ყოველთვის შეეცდება სხვის დაჩაგვრას. და კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ნიუანსი – ზოგადად ჩემი პოზიციაა და ხაზგასმით ვამბობ, რომ დღეს, ამ ვითარებაში, თეატრს სჭირდება ხელმძღვანელი, რომელმაც იცის თბილისის ოპერის მაჯისცემა, რომელსაც უცხოვრია ამ თეატრში და ამ თეატრით, ადამიანი, რომელიც თავისი შემოქმედებით ჩართული იყო და დღესაც არის თეატრის ცხოვრებაში. ხოლო, ხელოვანი, რომელიც არის ქართველი, მაგრამ მოღვაწეობს საზღვარგარეთ, ჩემი სუბიექტური აზრით, ვერ შეძლებს ჩასწვდეს დღევანდელი თეატრის ობიექტურ რეალობას. ამიტომ მიმაჩნია, რომ კანდიდატი ზემოთ თქმული თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს! უფროსი თაობის მომღერლებისგან მსმენია, რომ წარსულში თეატრს ბრწყინვალე ხელმძღვანელი ჰყავდა დიმიტრი მჭედლიძე, სამართლიანი, წესიერი, შეუპოვარი ადამიანი. შემდეგ უკვე მეც კარგად მახსოვს ჯანსულ კახიძის პერიოდის თეატრი. ის, ერთ-ერთი უდავოდ უდიდესი დირიჟორი იყო. ჯანსულ კახიძე რთული პიროვნება იყო, თუმცა მუსიკალურ ასპექტში მისმა კონცეფციამ გაამართლა... კი ბატონო, მაშინ თეატრში კონცეპტუალურ დაპირისპირებასაც ჰქონდა ადგილი, ვიღაცას რაღაც არ მოსწონდა, მაგრამ ორივე მხარე აღიარებდა ერთმანეთის პროფესიულ დონეს და აკადემიზმს, ამიტომ ურთიერთპატივისცემა იყო უმთავრესი მათ ურთიერთობაში!

***– ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რამდენიმე კანდიდატი სახელდება, თქვენც გყავთ ფავორიტი?***

– როგორც უკვე ვთქვი, ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ვერ მოვიაზრებ ხელმძღვანელად იმ პირებს, ვისაც არ უცხოვრია და არ ცხოვრობს თბილისის ოპერის პრობლემებით და ცხადია, ეს კულტურის სამინისტროშიც უნდა გაითვალისწინონ... შეფასებაც და დაფასებაც ადამიანის საქმისადმი დამოკიდებულებით, მისი პროფესიონალიზმი ხდება, ამიტომ წარმოდგენილ კანდიდატებს შორის ყველაზე დიდი სიმპათია იხრება ბატონ თეიმურაზ გუგუშვილის მიმართ, ყველა იმ თვისების გამო, რომელზეც უკვე ვისაუბრე. აქვე დავძენ, რომ ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში ემსახურება თბილისის ოპერას ერთგულად, ნამდვილად იმსახურებს იყოს ამ თეატრის ხელმძღვანელი! თანაც ვიცი, რომ თეატრის შემოქმედებითი დასის სოლიდური ნაწილი სწორედ ბატონ თეიმურაზ გუგუშვილს ისურვებდა სამხატვრო ხელმძღვანელად!

# მოძრაობის თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

„კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი“ მაყურებელს პრემიერაზე ეპატიჟება. 2014 წლის პირველი საპრემიერო სპექტაკლი „კლაინმანია“, რომელიც რეჟისორმა იოსებ ბაკურაძემ ვუდი ალენის პიესის „სიკვდილის“ მიხედვით დადგა. რეჟისორსვე ეკუთვნის პიესის თარგმანიც. კომპოზიტორი სანდრო ნიკოლაძეა, ქორეოგრაფი გიორგი კორკოტაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ გიორგი კორკოტაძე, კახა არევაძე, უჩა მჟავია, ალექსანდრე ჯაგაშვილი, თამარ აზნარაშვილი, ამირან ქაჩიბაია, ეკა წილოსანი, ილია ჭეიშვილი, იაკობ გოგოტიშვილი.

– „კლაინმანი“ თანამედროვე ექსპერიმენტალური დადგმაა, რომლის მცდელობაა დრამატული თეატრის და ფიზიკური თეატრის მიმდინარეობები გააერთიანოს. დადგმაში დიდი ყურადღება ენიჭება მსახიობის როგორც მხატვრულ მეტყველებას, ასევე მათ ფიზიკურ კონდიციას. ვუდი ალენის „კლაინმანი“ არის სათავგადასავლო კომედია კაცზე, რომელსაც შუა ღამით მეზობლები დახმარებას თხოვენ, რომ ბაღში შესული მკვლელი-მანიაკი დააჭერინოს. ამ უაღრესად სასაცილო ამბავს უცნაური და განსხვავებული განვითარება აქვს, რომელიც სრულ დაძაბულობაში ამყოფებს მაყურებელს მთელი სპექტაკლის განმავლობაში. პიესა „კლაინმანი“ არის ინდივიდისა და საზოგადოების დაპირისპირების შესახებ. საზოგადოება ისეთი საქციელის ჩადენას ითხოვს კლაინმანისგან, რომელიც მას არც შეუძლია და არც არანაირი სურვილი არ აქვს. ბოროტების წინააღმდეგ უანგაროდ ბრძოლაში, კლაინმანი თავის გზაზე სხვადასხვა დაჯგუფებებს, მეძავს, ექიმს, ესქსტრასენს და უამრავი პროფესიის ადამიანს ხვდება, რომლებიც პატრულირებას ახდენენ ბაღში მკვლელი-მანიაკის დასაჭერად. ამ უცნაურ ამბავში კლაინმანი თავად ხდება მთავარი ეჭვმიტანილი.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რუსთაველის თეატრში „მთიების“ კონცერტი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

3 თებერვალს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დიდ სცენაზე გაიმართება ედიშერ და გიგი გარაყანიძეების სახელობის ეთნომუსიკის თეატრის „მთიების“ თეატრალიზებული სალამო – „ზარი“, რომელიც ეძღვნება მთიების ხელმძღვანელის გიგი გარაყანიძისა და ამავე თეატრის წევრის გიგა ხაინდრავას ხსოვნას.

სალამოს მხარდამჭერი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრია. კონცერტი ფინანსურად ფონდმა „ქართულმა გალობამ“ უზრუნველყო. თეატრის ფოიეში მაყურებელი გიგა ხაინდრავას ფოტოგამოფენას გაეცნობა.

– „მთიები“ 1980 წელს დააარსა გამოჩენილმა ეთნომუსიკოლოგმა ედიშერ გარაყანიძემ. 2001-2012 წლებში „მთიებს“ მისი ვაჟი გიგი გარაყანიძე ხელმძღვანელობდა. რაც შეეხება რუსთაველის თეატრში გამართულ სალამოს „ზარი“, ის ორნაწილიანია: პირველში ნაჩვენები იქნება სიმღერით თანხლებულ გლოვის რიტუალთა ერთობლიობა გარდაცვალებიდან წლისთავამდე. მეორე საალდგომო ტრადიციით – „ჭონით“ დაიწყება და ხალხური სიმღერის სხვადასხვა საინტერესო ნიმუში შესრულდება. „მთიებთან“ ერთად მაყურებლის წინაშე წარდგება ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია „ამერ-იმერი“, – აცხადებენ ფოლკლორის ცენტრში.

მათივე ინფორმაციით, „მთიები“ პირველყოფილი უშუალობითა და ბუნებრიობით შეასრულებს ქართველი ერის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ მუსიკალურ ნიმუშებს, რომლებიც ქართულ ეთნოგრაფიულ გარემოში წეს-ჩვეულებების, რიტუალებისა და ყოფის განუყოფელი ნაწილია და ცეკვა-ფერხულებსა ან მსვლელობებთან ერთად თეატრალიზებულ სანახაობას ქმნის.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბანლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

## არველაძემ ყოფილ გუნდს ვერ მოუგო, დვალის დებიუტი მარცხიანი გამოდგა

აზერბაიჯანის ჩემპიონატი განახლდა და ლიდერმა „ყარაბაღმა“ მოულოდნელად შინ წააგო მეშვიდე ადგილზე მყოფ ლენქორანის „ხაზართან“ – 0:1. ნიკა გელაშვილს ტრავმის გამო არ უთამაშია, სამაგიეროდ დებიუტი ჰქონდა ჯაბა დვალს, რომელიც 69-ე წუთზე შევიდა მინდორზე. ბოლოს „ყარაბაღი“ მუდმივად უტევდა, თუმცა გათანაბრება ვერ მოახერხა. დვალისა და გელაშვილის გუნდი ჯერ ლიდერობს, თუმცა „გაბალასა“ და „ნეფთჩის“ ტურში სათამაშო აქვთ და თუ ორივე მოიგებს, მაშინ გადაუსწრებენ „ყარაბაღს“.

შოთა არველაძის გაწვრთნილმა „ქასიმფაშამ“ გასვლაზე 0:0 ითამაშა ზურაბ ხიზანიშვილის „ქაისერისფორთან“. ბევრი ელოდა, რომ შოთა ყოფილ გუნდთან შეწყვეტდა მოუგებელ სერიას, თუმცა... ხიზანიშვილს რაც შეეხება, მან შეუცვლელად ითამაშა და გაფრთხილებაც მიიღო. „ქაისერისფორი“ ბოლოსწინა ადგილზეა, „ქასიმფაშა“ კი – მეხუთეზე.



შოთა გრიგალაშვილის „ანორთოსისმა“ გასვლაზე 2:1 მოუგო „ეთნიკოს აშნას“ და მეხუთე საფეხურზეა. ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია.

აქვე ვთქვათ ერთ ამხანაგურზეც: ჯაბა ლიპარტიას „ზორიამ“ 5:1 მოუგო სომხურ „ალაშკერტს“. ქართველმა ნახევარმცველმა პირველ ტაიმში ითამაშა და საგოლე პასიც გააკეთა.

worldsport.ge

## ებრალიძე „ბენფიკასთან“ პირველ ტაიმში ათამაშეს

ავთო ებრალიძის „ჟილ ვისენტემ“ პორტუგალიის ჩემპიონატში 1:1 ითამაშა ლიდერ „ბენფიკასთან“. ქართველი შემტევი სასტარტოში გახლდათ და შესვენებისას შეცვალეს, როცა ანგარიში 0:0 იყო. „ჟილ ვისენტე“ მე-11 ადგილზეა.



პოლონურმა „იაგელონიამ“ ტესტ-მატჩი გამართა ტაშკენტის „ფახთაქორთან“ და 0:1 წააგო. ნიკა ძალამიძესა და გიორგი ფოფხაძეს არ უთამაშიათ. „ფახთაქორიდან“ კი 84 წუთი გაატარა მინდორზე კახა მახარაძემ, რომელიც ტაშკენტელთა ლიდერად ითვლება. მახარაძე გუნდის კაპიტანიცაა.

ბუბა დაუშვილმა მეორე ტაიმი ითამაშა „კარპატი“ – “რუხის“ შეხვედრაში, რომელიც ლვოველებმა 2:0 მოიგეს. ასევე მეორე ნახევარში გაისარჯნენ ამბროსი ჩაჩუა და ევგენი ბოხაშვილი რომლებსაც უკრაინის მოქალაქეობა აქვთ და იქაურ 21-წლამდელთა ნაკრებშიც თამაშობდნენ.

worldsport.ge

## მარტინო: „ვალენსიას“ შანსი თავად მივეცით და დავისაჯეთ“

„ვალენსიასთან“ საშინაო წაგების შემდეგ (2:3) „ბარსელონას“ მწვრთნელმა, ხერარდო მარტინომ თქვა, რომ ეს მარცხი უპირველესად საკუთარ თავს უნდა დააბრალონ: „ვფიქრობ, ჩემი ფეხბურთელები ზედმეტად თავდაჯერებულები იყვნენ და ამისათვის დაისაჯნენ კიდეც. თამაშის წინ ვუთხარი, შეცდომებს მოვერიდოთ, ძვირად დაგვიჯდება მეთქი. მაგრამ როცა მეტოქემ პირველი გოლი გაგვიტანა, დავიბენით, შემდეგ კი ეს ყველაფერი რაღაც უსუსურობაში გადაიზარდა. თავად მივეცით „ვალენსიას“ შანსი და ეს მათ კარგად გამოიყენეს,“ – უთხრა მარტინომ კლუბის ოფიციალურ გვერდს.

worldsport.ge

## „სტოკმა“ „მანჩესტერს“ 30 წლის შემდეგ მოუგო



წარუმატებლობების მიუხედავად, დევიდ მოიესს და მის შეგირდებს ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის იმედი ჯარაც არ გადაწურვიათ და ვერც გაამტყუნებ. „მანჩესტერი“ მე-4 ადგილზე მყოფ „ლივერპულს“ მხოლოდ 6 ქულით ჩამორჩება, სათამაშო კი კიდევ ბევრია. ეგ არის, „სტოკის“ მსგავს გუნდებთან ქულების კარგვა, ალბათ აღარ ეპატიებათ. „სტოკს“ პრემიერლიგაში ექვსი ტურის განმავლობაში აღარ ემარჯვა, საერთოდ კი სტოკელებმა „მანჩესტერს“ ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად მოუგეს. მაშინ ჯერ პრემიერლიგაც კი არ არსებობდა.

მატჩის წინ სტოკ-ონ-ტრენტში მსუყე წვიმა მოვიდა და თამაშის ხარისხს ამანაც დაამჩნია დაღი. ფეხბურთელები ხშირად უწყინარ სიტუაციებში კარგავდნენ ბურთს.

თავიდან სტუმრები უფრო ყოჩაღობდნენ, თუმცა მე-11 წუთზე მათ ჯერ ევანსი დაუშავდათ და მოიესი იძულებული გახდა ტაქტიკური გადაადგილებები განეხორციელებინა. მინდორზე რაფაელი გამოჩნდა, ერთადერთი მცველი, რომელიც სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ბრაზილიელმა მარჯვენა ფრთაზე დაიკავა ადგილი, ცენტრში კი სმოლინგს ჯონსი შეუწყვილდა. მარცხნივ ევრა ირჯებოდა. ტაიმის მიწურულს კი, როცა მასპინძლები ერთი ბურთით იგებდნენ (გოლი შოტლანდიელმა ჩარლი ადამმა გაიტანა), უკვე ჯონსმა მასპინძელ უოლტერსთან შეჯახებისას სახის ტრავმა მიიღო, ექიმები კარგა ხანს ცდილობდნენ მის მწყობრში მოყვანას, მაგრამ ბოლოს მაინც საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან. ამრიგად, „წითელ ეშმაკუნებს“ დაცვაში პრობლემები შეექმნათ და მოიესი იძულებული გახდა დასახმარებლად კერიკი დაეწია უკან. ახლა ყველაფერი სტოკელთა ოსტატობაზე იყო დამოკიდებული. მართალია ჯერ ვან პერსიმ გაათანაბრა, მაგრამ მალევე ადამმა მეორე შეაგდო, ლამაზად, ცხრიანში და დუბლი მიითვალა. სტუმრები კიდევ შეეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ამაოდ. მოიესმა მაინც ყველაფერი იღბალს დააბრალა: „ბევრი მომენტები შევქმენით, მაგრამ რეალიზება ვერ შევძელით. ეს ნამდვილი უიღბლობაა,“ – წერია მანჩესტერელთა ოფიციალურ ტვიტერზე.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა „ევერტონმა,“ რომელიც ფეხდაფეხ მისდევს თანაქალაქელ „ლივერპულს“ და ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრას ცდილობს. თავიდან ბირმინგჰენელი სტუმრები იგებდნენ, მაგრამ მერსისაიდელებმა ხასიათი გამოავლინეს და ჯერ შეცვლაზე შესულმა ნეისმიტმა გაათანაბრა, დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კი მირალასმა გამარჯვებისა გაიტანა. „ევერტონის“ დამრიგებელი რობერტო მარტინესი მატჩის შემდეგ აღფრთოვანებას ვერ მალავდა: „დიდებულად შემოვაბრუნეთ თამაში. ეს ჩვენი ყველაზე ლამაზი გამარჯვება იყო წლევანდელ სეზონში. პირველი ტაიმი არ გამოგვივიდა, მაგრამ მეორეში ყველაფერი გამოვასწორეთ, მირალასს კი მართლაც შესანიშნავი დარტყმა გამოუვიდა,“

„ნიუკასლმა“ შინ 0:3 წააგო „სანდერლენდთან.“ შემდეგ „კაჭკაჭების“ გაბრაზებულმა მწვრთნელმა, ალან პარდიუმ თქვა: „ვინც უკეთ ითამაშა, იმან მოიგო. შედეგით გაწბილებული ვარ. ჩემი გუნდი საკუთარ თავს არ ჰგავდა. მართალია მომენტები შევქმენით, მაგრამ ვერ გავიტანეთ. კაბაიეს ტრანსფერი? დიახ, ჩვენ ძლიერი ფეხბურთელი დავკარგეთ, რომლის შემცვლელი ჯერჯერობით ვერ ვიპოვნეთ.“

worldsport.ge

## ვან პერსი, შესაძლოა, ლონდონში დაბრუნდეს



ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა რობინ ვან პერსიმ, შესაძლოა, ზაფხულში „მანჩესტერ იუნაიტედი“ დატოვოს და ლონდონის „არსენალში“ დაბრუნდეს.

The Daily Mail-ის ცნობით, 30 წლის ფეხბურთელი კლუბიდან სერ ალექს ფერგიუსონისა და მისი ასისტენტის, რენე მელენსტენის წასვლით გულდაწყვეტილია. გარდა ამისა, ის ვერ შეეგუა ახალ ქალაქს და ლონდონში ცხოვრება ურჩევნია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვან პერსის დაძაბული ურთიერთობა აქვს ახალ მთავარ მწვრთნელ დევიდ მოიესთანაც.

შოტლანდიელი სპეციალისტი ზაფხულში გუნდის გადახალისებას გეგმავს და შესაძლოა, ცვლილებები ვან პერსისაც შეეხოს. თუმცა, მისი მომავალი დიდწილად გუნდის მეორე ფორვარდ უეინ რუნიზეც იქნება დამოკიდებული, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი ჯერ არ გაუხანგრძლივებია. თუ რუნი გუნდში დარჩენას გადაწყვეტს, მაშინ მანჩესტერელები ჰოლანდიელს უფრო მარტივად შეელევიან.

ტრანსფერის სავარაუდო ღირებულება 15 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნება. ასეთ შემთხვევაში „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი უარს იტყვის მისსავე დაწესებულ შეზღუდვაზე, რომლის თანახმადაც კლუბი 30 წელზე უფროსი ასაკის ფეხბურთელების შეძენისგან თავს იკავებს.

worldsport.ge

## ვავრინკა და ფედერერი შვეიცარიას მეოთხედფინალში გაუძღვნენ



ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი სტანისლას ვავრინკა და დიდი სლემის ტურნირების 17-გზის გამარჯვებული როჯერ ფედერერი შვეიცარიის ნაკრების ღირსებას იცავენ და თავიანთი ქვეყნის საჩოგბურთო ეროვნული გუნდის დევისის თასის მეოთხედფინალში ვადამდე ადრე გასვლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ვავრინკამ და ფედერერმა ერთეულთა მატჩები მოიგეს ნოვაკ ჯოკოვიჩის გარეშე მოასპარეზე სერბეთთან, მარკო ჩუდინელისა და მიხაელ ლამერის წყვილმა კი შვეიცარიელებს მესამე ქულა მოუპოვა.

წესით და რიგით, სტანისლავ ვავრინკა 3 თებერვლიდან საფრანგეთის ქალაქ მონპელიეს ტურნირში უნდა ჩაბმულიყო, მაგრამ გადაღლობის გამო ასპარეზობაში ჩაბმაზე უარი განაცხადა: „ბოდიშს ვუხდი ტურნირის ორგანიზატორებს, სპონსორებს და გულშემატკივრებს. მონპელიეში თამაშს მართლაც ვაპირებდი, მაგრამ ზედიზედ ჩატარებული მატჩების შემდეგ დაღლილი ვარ და იძულებული გავხდი მონპელიეში გამგზავრებაზე უარი მეთქვა“.

შვეიცარიელების სამეოთხედფინალე მეტოქეს ყაზახეთისა და ბელგიის მატჩი გამოავლენს. 2 საასპარეზო დღის შემდეგ ყაზახები 2:1-ს იგებენ.

გაირკვა პირველი მეოთხედფინალური წყვილი. 4-6 აპრილს ნახევარფინალში გასასვლელად გერმანიისა და საფრანგეთის ნაკრებები იბრძოლებენ. ორივე მათგანმა 3:0 წაიყვანა შესაბამისად ესპანეთთან და ავსტრალიასთან და დარჩენილი 2 შეხვედრა ფორმალობად აქცია.

მეოთხედფინალშია იაპონიის ნაკრებიც. დღეს დილით კეი ნიშიკორიმ კანადელ ფრანკ დანჩევიჩს მოუგო და გუნდური ანგარიში 3:1 გახადა. იაპონელთა მომდევნო მოწინააღმდეგეს დევისის თასის მოქმედი ჩემპიონის ჩეხეთისა და ჰოლანდიის მატჩი გამოავლენს. ამ წყვილში ჯერჯერობით ანგარიში 2:1-ია ჩეხთა სასარგებლოდ.

დღესვე გაირკვევა კიდევ 2 მეოთხედფინალისტის ვინაობა. წყვილთა მატჩების შემდეგ იტალია არგენტინას, დიდი ბრიტანეთი კი აშშ-ს 2:1-ს უგებს.

worldsport.ge

## დანი ალვეში ქომაგებს გაუნაწყენდა

„ბარსელონას“ მცველმა დანი ალვეშმა გუშინ, „ნოუ კამპზე“ „ვალენსიასთან“ განცდილი მარცხის (2:3) შემდეგ კლუბის გულშემატკივრები გააკრიტიკა.

„ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს საკუთარ კედლებში კი არა, სტუმრად ვთამაშობდით. ქომაგებმა გუნდს მხარი უნდა დაუჭირონ. გუნდი ხომ მათთვის თამაშობს. იმედია, მომავალ თამაშებში ეს აღარ განმეორდება“ – ციტირებს goal.com დანი ალვეშის სიტყვებს.

worldsport.ge

## თორნიკე შენგელიას დებიუტი „ჩიკაგო ბულსში“

მას შემდეგ, რაც 2 კვირის წინ „ბრუკლინიდან“ გადავიდა, 22 წლის ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია ახალი გუნდის მაისურით მოედანზე პირველად გავიდა. შენგელიამ სიმბოლური დროით ითამაშა. ის მატჩის დასრულებამდე 2:04 წუთით ადრე გამოჩნდა მოედანზე, როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.



„ჩიკაგო“ ნიუ ორლეანში „პელიკანსს“ ხვდებოდა და მატჩი 79:88 დათმო. ჩიკაგოელებმა სეზონის ერთ-ერთი უცუდესი შეხვედრა ჩაატარეს და არაფრით გამორჩეულ გუნდთან წააგეს. შენგელიას პოზიციაზე სასტარტო ხუთეულში მყოფმა კარლოს ბუზერმა მხოლოდ 4 ქულა ჩააგდო, კიდევ ერთმა ფორვარდმა მაიკ დანლივიმ კი თავი 6 ქულას მოუყარა.

შენგელიამ 2 წუთის განმავლობაში მხოლოდ 1 მოხსნის მოპოვება მოასწრო, როცა ორლეანელი ბრაიან რობერტსის აცილებული ბურთი მოიხელთა. ჩიკაგოელებში 23 ქულითა და 7 პასით საუკეთესო გამთამაშებელი დიჯეი აუგუსტინი იყო, სამარქაფო მეფარე ტაჯ გიბსონმა კი 17 ქულა და 10 მოხსნა დააგროვა.

„ჩიკაგოს“ 23 მოგება და ამდენივე მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში „ვაშინგტონთან“ 5-6 ადგილებს იყოფს. მომდევნო მატჩს შენგელიას გუნდი 3 თებერვალს, საკრამენტოში გამართავს.

worldsport.ge

## ორთვიანი უქმობა დასრულდა: ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა

ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ზაზა ფაჩულია მოედანს დაუბრუნდა. საქართველოს ნაკრებისა და „მილუოკი ბაქსის“ ცენტრმა გასული წლის 4 დეკემბერს, „დეტროიტთან“ ფეხის ტრავმა მიიღო და მას მერე რეაბილიტაციის კურსს გადიოდა.

ფაჩულიამ დღეს, გამთენიისას, მემფისში ითამაშა, სადაც მისი გუნდი 90:99 დამარცხდა. ზაზამ მოედანზე 12:26 წუთი გაატარა და



პირად ანგარიშზე 4 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა ჩაიწერა. ქართველმა ფორვარდმა 2-დან 2 ორქულიანი ჩააგდო. მილუოკელთა ძირითადმა ცენტრმა ლარი სანდერსმა 10 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა.

„მილუოკი“, რომელსაც 8 მოგების წილ 39 მარცხი აქვს და ლიგაში უცუდეს შედეგს ფლობს, მომდევნო მატჩს 3 თებერვალს შინ, „ნიუ იორკთან“ გამართავს.

worldsport.ge

## კივუ კარიერას ასრულებს

„ინტერის“ ცენტრალურმა მცველმა, კრისტიან კივუმ მილანური კლუბის ხელმძღვანელობას მოქმედი კონტრაქტის ნაადრევად შეწყვეტის თხოვნით მიმართა. 33 წლის რუმინელი მილანში წესით მიმდინარე სეზონის ბოლომდე უნდა დარჩეს, მაგრამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

კრისტიან კივუ „ინტერში“ 2007 წელს გადავიდა და მას შემდეგ 115 შეხვედრა ჩაატარა. იქამდე იგი „აიაქსისა“ და „რომას“ ღირსებას იცავდა. არის ჰოლანდიის და იტალიის ჩემპიონი და თასის მფლობელი. ასევე მოგებული აქვს ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი.

worldsport.ge

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ლაშა ბულაძე: „პრემიები იქნება?“

ეკა ირემაშვილი

მწერალი ლაშა ბულაძე რადიო „თავისუფლების“ ვებგვერდზე ახალ ჩანაწერს აქვეყნებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:



– არის ასეთი ძირძველი ქართული სიტყვა (სამწუხაროდ, ვერმიკვლეული სულხან-საბას მიერ), რომელიც ნარკოტიკის მოპოვება-შესყიდვის პროცესში ჩაბმული ეგზალტირებული ჯგუფების ქმედებას აღწერს: „დვიჟენია“.

გვაქვს მეორე ქართული სიტყვაც, რომელიც კიდევ უფრო ძველია და მემატიანენი მას ყველაზე ხშირად ხმარობენ: „შპანა“.

აი, ეს ორი სიტყვა გამახსენდა, როცა ეს უცნაური ვიდეო ვიხილეთ, სადაც ჩვენი მეტამორფოზირებული ძველი ბიჭები (არ დავწერ „ძველი მთავრობის წარმომადგენლები“) ევროპული საქართველოს სასახელოდ ეძებდნენ მტრულ გვამებს.

იქ, სადაც პარანოიდალურ-ჰალუცინაციურმა გონმა აწ თითქმის მივიწყებული „მოდელირებული ქრონიკა“ შვა, არაა გამორიცხული, ის „ორი რუსი“ ამ ხალხს, არც მეტი, არც ნაკლები, მედვედევ-პუტინის წყვილი ჰგონებოდათ, „დვიჟენია“ ტყუილად კი არ გამხსენებია!

თუმცა ამ ჩანაწერის შემთხვევაში, ალბათ, სხვა რამეა მთავარი: ეგზალტირებულ „შპანას“ თავის გამოჩენის საშუალება ეძლევა, მთავარსარდალი იქვე დაძრწის და წარმატების შემთხვევაში პრემიებია მოსალოდნელი!

„პრემიები იქნება“!

ქართული პრემიები!

და იქნება ახლაც!

და იქნება ყოველთვის!

მარტო წარსულში კი არ დარჩა ეს დაპირება!

„შპანა“ უკვდავია. შესაბამისად, „პრემიალურიც“.

ადვილია მათი შეფასება, ვისაც სახეზე ვცნობთ, მაგრამ ვისაც ვერ ვცნობთ და ვინც უსახელოდ დაგვიდის გარშემო, ისინი ხომ ახლაც პრემიების მოლოდინში არიან.

და რას აღარ იზამენ პრემიებისთვის.

ისეთ ღატაკ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სახელმწიფო ჩინოვნიკების უმრავლესობა, ხელფასის გარდა თვიდან თვემდე პრემიალურებს იმატებს და განსაზღვრულ ხელფასზე ხუთჯერ მეტს იღებს.

რადგან პრემია წმინდაა!

პრემიალური წმინდაა!

რადგან თუკი „პრემიალური“ არ მოვა, მაშინ იძულებული შეიქნება, სამართლიანად და დამსახურებულად მოიპაროს ფული, ანდა პატიოსნად და წესიერად მიიღოს თავისი კუთვნილი ყოველთვიური ჯილდო.

„ორი გვამი მინდა... პრემიებია...“

სად? ან რომელი ამდენ გვამში?

თუმცა რიტორიკა იქით იყოს და, პირადად მე (ისევე, როგორც, ალბათ, ბევრ თქვენგანს) სულ სხვა ამბავი გამახსენდა ამ უცნაური ვიდეოს ცქერისას:

„ორი რუსის“ ძებნისას რა ბაქანალია ხდებოდა და, წარმომიდგენია, რა უბედურება სჭირდა ამ აცაბაცა მარბენალ-მოქაქანე ეგზალტირებულ „შპანას“ 2008 წლის ომის დროს!

მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა „პრემიები“ ნამდვილად არ იყო გარანტირებული, – წერს ლაშა ბულაძე.

ამ ჩანაწერის გამოქვეყნებამდე ლაშა ბულაძემ თავის ერთგულ მკითხველს ორი წიგნი წარუდგინა. გამოცემების პრეზენტაცია მწერალთა სახლში გაიმართა. ორივე წიგნი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა. მკითხველს უკვე შეუძლია გაეცნოს ლაშა ბულაძის ნაწარმოებებს „ლუკრეცია 515“ და „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“.

თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრმა კი ლაშა ბულაძის პიესა „7-ს პლუს ერთის“ პრემიერა გამართა. თანამედროვე მწერლისა და დრამატურგის შემოქმედება თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე რეჟისორმა გოგი ქაჩიბაიამ გაიტანა.

# ტრუსები ახმეტელის თეატრშია

ეკა ირემაშვილი

სანდრო ახმეტელის სახელობის თბილისის მუნიციპალური დრამატული თეატრი ახალ სპექტაკლზე იწყებს მუშაობას. 4 თებერვალს თეატრს ცნობილი ესტონელი რეჟისორი კალევ კუდუ ეწვევა. ის ევროპაში წარმატებული დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობია. საქართველოში ახმეტელის თეატრის მოწვევით ერთ თვეს დაჰყოფს და ქართველ მსახიობებთან ერთად მიმდინარე თვის ბოლოს პოპულარული და სკანდალური ახალგაზრდა ბელორუსი ავტორის პაველ პრიაჟკოს ცნობილ პიესას „ტრუსები“ განახორციელებს.

კალევ კუდუს დადგმული აქვს 50-მდე სპექტაკლი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ თეატრალურ ფესტივალზე და არის არაერთი ჯილდოს მფლობელი, ხელოვნების მკვლევარი. კალევ კუდუს ესტონეთში დაარსებული აქვს ახალგაზრდული თეატრი. სწორედ 4 თებერვალს ახმეტელის თეატრში გაიმართება კალევ კუდუს შეხვედრა პრესასთან და პირველი სამუშაო რეპეტიცია თეატრის დასთან. მიმდინარე თეატრალური სეზონში ეს უკვე მეორე საერთაშორისო თეატრალური კოპროდუქციაა, რომელსაც ახმეტელის თეატრი ახორციელებს. შარშან 7 დეკემბერს პოლონელი რეჟისორის დარიუშ ეზერსკის სპექტაკლის „პოლიცია“ პრემიერამ ახმეტელის თეატრში წარმატებით ჩაიარა.

– კალევ კუდუ თეატრის რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგია. დაამთავრა ტალინის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი, ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, დრამატული სტუდია. არის ესტონეთის რეჟისორთა ასოციაციის წევრი 1993 წლიდან, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში მდებარე ერთ-ერთი ცენტრის მკვლევარი, ახალგაზრდა თეატრალური ჯგუფის რეჟისორი, ტარტუს საბავშვო თეატრის მსახიობი და რეჟისორი. მან დააარსა ერთი მსახიობის თეატრი, ასევე ტარტუს სტუდენტური თეატრი, რომლის დირექტორი, მსახიობი და რეჟისორი იყო. საუბრობს ესტონურ, რუსულ, ინგლისურ და ფინურ ენებზე. მისი გამორჩეული დადგმებია: კარლ რისტიკივი – ლიტერატურული სპექტაკლი „ადამიანის მოგზაურობა“, ანდრე გიდე „საწყალი მიჯაჭვული პრომეთე“, სემუელ ბეკეტი „გაძევებული“, ჰენრიკ ვისნაპუ – ლიტერატურული სპექტაკლი „სიჩუმე“, სემუელ ბეკეტი „დამამთავრებელი თამაში“, ავგუსტ სტრინდბერგი „სასიკვდილო როკვა“, ეჟენ იონესკო „მომავალი კვერცხებში“, სლავომირ მროჟეკი „ზაფხულის დღე – შეხვედრა“, სამუელ ბეკეტი „მომავლის გარეშე“, იური ელესტი „დაგვიანებული ფრენა“, ავგუსტ სტრინდბერგი „მამა“, ჩარლზ დიკენსკი „ჭრიჭინობელა კერიაზე“, სამუელ ბეკეტი „სუნთქვა“, თეოდორ დოსტოევსკი „ეშმაკნი“, ჩინური და იაპონური დრამის მოტივებზე „ათოვდა სოფელ იოშიმოს“, სარა კეინი „განწმენდილები“, ეჟებ იონესკო „მარტორქა“, სარა კეინი „ფსიქოზი 4, 48“, პაველ პრიაჟკო „წარმატებული ცხოვრება“, პაველ პრიაჟკო/კალევ კუდუ „ცხოვრობ და ვერც შეამჩნევ როგორ მიდიხარ იმქვეყნად“, ეჟენ იონესკო „ახალი მობინადრე“. მის მიერ განხორციელებულ სპექტაკლებს მალე ახმეტელის თეატრში დადგმული სპექტაკლის შეემატება, – აცხადებენ თეატრის პრესცენტრში.

# როდის დაბრუნებენ სოფიკო ჭიაურელის გმირებს სიონის სკვერში?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბის განმავლობაში დაუვიწყარი როლები შეასრულა და იმუშავა ისეთ ცნობილ რეჟისორებთან, როგორებიცაა თენგიზ აბულაძე, გიორგი დანელია, სერგო ფარაჯანოვი. ის სერგო ფარაჯანოვის მუზადაც იყო მიჩნეული.

სოფიკო ჭიაურელის ბიუსტი სიონის სკვერში 2009 წელს დაიდგა. სოფიკო ჭიაურელის სახელის უკვდავსაყოფად მისი მემორიალური დაფა მშობლიური სახლის კედელზე, ფიქრის გორაზეც გახსნეს, საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში კი მსახიობის ბარელიეფი გაიხსნა. ქართველ მსახიობის მადლიერების ნიშნად მარჯანიშვილის თეატრის წინ ვარსკვლავიც გაუხსნეს. სოფიკო ჭიაურელი 71 წლის ასაკში 2008 წელს გარდაიცვალა. ხელოვანი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის კოტე მახარაძის გვერდით დაკრძალეს.

როდის ჩაუტარდებათ ფუფალას და მრეცხავ ვარდოს რესტავრაცია და როდის დააბრუნებენ სიონის სკვერში, ჯერჯერობით უცნობია.

# ოთარ იოსელიანი 80 წლისაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წვლილისათვის. ოთარ იოსელიანმა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო კულტურაში დაიმკვიდრა თავისი საპატიო ადგილი.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ ოთარს დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და მრავალ შემოქმედებით წარმატებას, – აღნიშნულია საქართველოს პრემიერ- მინისტრის მისალოც წერილში.

ოთარ იოსელიანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პირველი არხი თებერვალში იწყებს ოთარ იოსელიანის ფილმების დიდ რეტროსპექტივას.

– საფრანგეთში შემოქმედებითი ცხოვრების გაგრძელებამდე, რეჟისორმა საქართველოში ის ფილმები გადაიღო, რომელთა მოხსენიების გარეშეც 60-იანი და 70-იანი წლების ქართული კინოს ისტორიაზე არ საუბრობენ. ამ ფილმებს ქართული საზოგადოება და სპეციალისტების წრე წინააღმდეგობრივი რეაქციით შეხვდა. იყო ბევრი კრიტიკა კინოს ცენზორების მხრიდან. 1967 წელს ქართულ პრესაში დაბეჭდილი ერთ-ერთი რეცენზიის ავტორი პირდაპირ წერდა, რომ „გიორგობისთვე“ უნდა დაიწვას, რომ ის ქართველი ერისკენ მიმართული ბოროტი ცილისწამებაა... როგორი იყო ეს ქართველი ერი, რომელსაც იოსელიანი თავის ფილმებში ასახავდა? იყო თუ არა მისი ფილმები ანტისაბჭოთა? რატომ უპირისპირდებოდნენ იოსელიანის პერსონაჟები სისტემას? – აცხადებენ ფილმების რეტროსპექტივის ავტორები.

ბევრისთვის ალბათ უცნობია, რომ ოთარ იოსელიანმა დაამთავრა თბილისის კონსერვატორია კომპოზიციის, დირიჟორისა და ფორტეპიანოს განხრებით. მოსკოვში გამგზავრების შემდეგ, ორი წელი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ისწავლა. მხოლოდ ამის შემდეგ დაუკავშირა თავისი ცხოვრება კინოს და რუსეთის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ისწავლა, სადაც უშუალოდ ალექსანდრე დოვჟენკოსა და მიხეილ ჭიაურელის მოსწავლე იყო.

მისი პირველი ფილმი იყო მცირემეტრაჟიანი „აპრილი“, რომელსაც მოყვა დოკუმენტური ფილმი „თუჯი“. მასში აღწერილია მეტალურგიული კომბინატის მუშაობის ერთი დღე. კინომცოდნეების თქმით, უკვე ამ ფილმებში გამოჩნდა რეჟისორის ორიგინალური სტილი, რომელიც აშკარა იყო მის პირველ სრულმეტრაჟიან ფილმში „გიორგობისთვე“. ამ ფილმისთვის მან კანის კინოფესტივალის სპეციალური კინოპრესის ჯილდო და ჟორჟ სადულის პრიზი დაიმსახურა საუკეთესო სადებიუტო ნამუშევრისთვის.

ოთარ იოსელიანმა კინოს მოყვარულებს შესთავაზა თავისი მორიგი ნამუშევრები „იყო შაშვი მგალობელი“, „პასტორალი“, რომელმაც ბერლინის ფესტივალის კინო-პრესის ჯილდო დაიმსახურა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ოთარ იოსელიანი საფრანგეთში მუშაობს, სადაც რამდენიმე დოკუმენტური და მცირემეტრაჟიანი ფილმი გადაიღო. „მთვარის ფავორიტებმა“ ვენეციის კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი დაიმსახურა. იგივე პრემია მიენიჭა რეჟისორის ორ ფილმს – „და იყო სინათლე“ და „ყაჩაღები. თავი VII“. ფილმში „ინ ვინო ვერიტას!“ ერთ-ერთი მთავარი როლი თავად შეასრულა. კანის კინოფესტივალზე 4 წლის წინ არასაკონკურსო ჩვენებაში წარმოდგენილი იქნა რეჟისორის ახალი ფილმი „შანტრაპა“. რეჟისორის ნამუშევრების ნახვა მისი შემოქმედების გულშემატკივრებს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებშიც ეძლევათ.

რეჟისორი ასაკს არ ნებდება და ამჟამად ახალ ფილმზე მუშაობს. როგორც ცნობილი ხდება, ახალი სურათის სცენარი პარიზში დაიწერა, თუმცა გადაღებები თბილისშია დაგეგმილი. როდის დასრულდება ფილმზე მუშაობა და ვინ არიან მასში დაკავებული, ეს ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება.

80-წლიანი მოღვაწეობის ისტორიაში ოთარ იოსელიანის ყველაზე დიდი მიღწევა 18 ფილმი და მსოფლიოში წამყვანი საერთაშორისო კინოფესტივალების, მათ შორის, კანის, ვენეციისა და ბერლინის კინოფესტივალების სპეციალური პრიზებია.

# მოძრაობის თეატრში პრემიერაა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ერთი შეხედვით უაზრო ამუეტი, რომელიც ბოროტებას ისხლეტს, მთელი პიესის განმავლობაში იცავს კლაინმანს მოახლოებული საფრთხისგან, მანამ სანამ უნებლიეთ არ მოიხსნის..., – აცხადებს მოძრაობის თეატრის წარმომადგენელი ირინა ყიასაშვილი.

მისივე თქმით, სპექტაკლის რეჟისორს იოსებ ბაკურაძეს უკვე აქვს საკმაო პროფესიული გამოცდილება. მას სპექტაკლები დადგმული აქვს რუსთაველის თეატრში, ერთი მსახიობის თეატრში, სამეფო უბნის თეატრში, თელავის თეატრში, ამჯერად კი თავის ნამუშევარს მაყურებელს უკვე მოძრაობის თეატრში წარუდგენს.

– სპექტაკლის რეჟისორს რუსთაველის თეატრში დადგმული აქვს 4 სპექტაკლი, „გაუმარჯოს ბუშონს“, „როგორც იქნა“, „ესტაფეტა“ და „სადილის ექვსისთვის“. ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრში „სადილის ექვსისთვის“, სამეფო უბნის თეატრში „საქართველოს მთელი მოსახლეობის აზრი“, ხოლო ერთი მსახიობის თეატრში „ვერიკო“ „როგორც იქნა, დასრულდა“, – განმარტავს მოძრაობის თეატრის წარმომადგენელი.

მოძრაობის თეატრმა 12 წლიანი არსებობის მანძილზე კუთვნილი შენობა შარშან შემოდგომაზე 8 ოქტომბერს განახლებულ მუშტაიდის ბაღში გახსნა. სწორედ ეს დღე მოძრაობის თეატრის დაბადების დღეს გამოცხადდა. „კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრმა“ საკუთარ სივრცეში პირველი თეატრალური სეზონი პრემიერით გახსნა. მასზე დრამატურგმა კახა ბაკურაძემ, კომპოზიტორმა სანდრო ნიკოლაძემ, საჰაერო ტრიუკების ინსტრუქტორმა გიორგი კომახიძემ იმუშავეს.

„კლაინმანის“ საპრემიერო ჩვენებები მოძრაობის თეატრში თებერვლის პირველ რიცხვებშია დაგეგმილი, ბილეთების ღირებულება კი 25 ლარია.

# კროსვორდი



1. მძარცველი, ყაჩაღი; 2. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 3. ... ჯიგარხანიანი; 4. სუსტი არაყი; 5. კარის საკეტი; 6. მაია ასათიანის ტელეშოუ; 7. ... ვალონე; 8. ხორციანი კორკოტი; 9. ბატონო (პოლონურად); 10. ... გაბენი; 11. ბიბლიური პერსონაჟი; 12. კოსმეტიკური კრემი; 13. ქუსლიანი დიდი ჯამი; 14. მარგარიტა ... (მსახიობი); 15. მგოსანი; 16. მეფე ლირის ასული; 17. ვირტუოზული საფორტეპიანო პიესა; 18. ვისიმე ოფიციალური მიღება მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 19. წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად; 20. იგივეა, რაც ამანათრბენი; 21. ხიდისებური ნაგებობა ხეობაზე ან მშრალ ხევზე; 22. დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე; 23. გეომეტრიული სხეული; 24. სამკარედი სარკე; 25. სიგრძის ფრანგული საზომი ერთეული (ძვ.); 26. ჭადრაკის ფიგურა; 27. ანძებზე დამაგრებული საიალქნე ძელი; 28. იტალიური ფიჭვი; 29. საესტრადო ცეკვა სხეულის უხამსი მიხვრა-მოხვრით.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქსენძი; 2. ფეტა; 3. სეფედროშა; 4. „ნივეა“; 5. ვაქცინა; 8. კომეტა; 9. პალესტინა; 12. ხვიფლი; 14. „საბენა“; 16. იდიში.

**თარაზულად:** 1. ქსილოფონი; 6. ნემეზიდა; 7. ეტიკეტი; 9. პიკეტი; 10. ლაპი; 11. ფეოდალი; 13. ტესლა; 15. ავლანი; 17. „ბარამბო“; 18. ოფორტი; 19. „აფონია“; 20. ტიბალტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოიოტი; 2. რიოში; 3. სუმო; 5. ჯეჯილი; 6. ეგერი; 7. „გალუაზი“; 11. მოსტრა; 13. არამისი; 14. ტრეკი; 15. ბედუინი; 17. ონაგატა; 17. ჩაფარი; 19. ალუჩა; 20. ჯუნო.

**თარაზულად:** 1. კარკასი; 4. ბანჯო; 8. მდადი; 9. ჯამე; 10. ორშიმო; 12. სუფრული; 14. ტუტი; 15. ბილინგვა; 16. ომეგა; 18. შხუნა; 21. ფობია; 22. ტერნერი; 23. „ჩარდაში“.

# უკრაინის ოპოზიციამ ამერიკელებთან ერთად კრიზისის დაძლევის გეგმა შეიმუშავა

უკრაინის ოპოზიციურმა ლიდერებმა ამერიკისა და ევროკავშირის წარმომადგენლებთან ერთად უკრაინის კრიზისის დაძლევის რამდენიმეპუნქტიანი გეგმა შეიმუშავეს. „ბი-ბი-სი" აღნიშნულ ინფორმაციას ოპოზიციონერ არსენ იაცენიუკზე დაყრდნობით ავრცელებს.

უკრაინის კრიზისის დაძლევის ოპოზიციური გეგმის მიხედვით, პირველი პუნქტი ქვეყანაში ძალადობის შეწყვეტაა. გეგმის მეორე პუნქტი – მოქმედი ხელისუფლების მიერ დაკავებული აქტივისტების გათავისუფლება, მესამე პუნქტი კი მოქალაქეების წამების, ცემის, გატაცებისა და მკვლელობის ფაქტების გამოძიებაა.

როგორც იაცენიუკი აღნიშნავს, გეგმის მეოთხე პუნქტი უკრაინაში კონსტიტუციური რეფორმების ჩატარება და საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო წყობაში დაბრუნებაა.

„იმ შემთხვევაში, თუ უკრაინაში ჩატარდება კონსტიტუციური რეფორმა, უკრაინა შეძლებს, მიიღოს დახმარების ეკონომიკური პაკეტი არა პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლებისთვის, არამედ უკრაინის სახელმწიფოსთვის, თუ ქვეყანაში ხელისუფლების მართვაზე პასუხისმგებლობას მთლიანად აიღებს ოპოზიცია", – განაცხადა იაცენიუკმა.

იაცენიუკის შეფასებით, ასეთ შემთხვევაში უკრაინა დასავლელი პარტნიორებისგან მიიღებს 15 მილიარდდოლარიან დახმარებას.

„ბატკივშინასა" და „უდარის" ლიდერები, კლიჩკო და იაცენიუკი, რომლებიც უსაფრთხოების საკითხებში მიუნხენის კონფერენციაში მონაწილეობენ, მიუნხენის ევრომაიდანზე მივიდნენ. მიუნხენში აქტივისტებმა გერმანიის ყველა ქალაქიდან მოიყარეს თავი.

არსენი იაცენიუკმა ევრომაიდანის მონაწილეებს სცენიდან მიმართა. მან უკრაინაში სიტუაციის გამწვავებაზე ინფორმაცია მიაწოდა. იაცენიუკმა განაცხადა, რომ მან მიუნხენში შესთავაზა ეგრეთ წოდებული მარშალის გეგმა უკრაინისათვის, რომელიც უკრაინისათვის პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების პაკეტს ითვალისწინებს, რათა შეაჩერონ ძალადობა, დასაჯონ კაცობრიობის წინააღმდეგ დამნაშავეები და ასევე, აღადგინონ სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდა.

თავის მხრივ, ვიტალი კლიჩკომ მადლობა გადაუხადა უკრაინელებს, რომლებიც მთელი გერმანიიდან, ჩეხეთიდან და პოლონეთიდან ჩავიდნენ, რათა თავიანთი აქციით მხარი დაუჭირონ ხალხს, რომელიც უკრაინის მთავარ მოედანზე დგას.

„დღეს ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა და ძალისხმევა აქ, რათა თქვენ სამშობლოს დაეხმაროთ. მოყევით იმის შესახებ, თუ რა ხდება უკრაინაში. დღეს, როდესაც ქვეყანაში ხოცავენ და იტაცებენ ადამიანებს, იჭერენ და ასამართლებენ აქტივისტებს, უკრაინელები მაინც იბრძვიან საკუთარი უფლებებისა და მომავლისათვის", – აღნიშნა კლიჩკომ.

თავის მხრივ, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ლეონიდ კოჟარამ განაცხადა, რომ ყველა უკრაინელი, მათ შორის რვა მილიონი ეთნიკური რუსი უკრაინაში, არ არის საპროტესტო გამოსვლების მომხრე. მისი თქმით, უკრაინა მრავალფეროვანი ქვეყანაა და უბრალოდ არ ძალუძს არჩევანი რუსეთსა და ევროკავშირს შორის გააკეთოს, არამედ კავშირი უნდა ჰქონდეს ორივესთან.

უკრაინაში არსებული ვითარება მიუნხენის კონფერენციაზე ერთ-ერთი ყველაზე ცხარე განხილვის თემა გახდა. როგორც უკრაინული მედია წერს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა დასავლეთ უკრაინასთან მიმართებით ორმაგი სტანდარტების განხორციელებაში და „უკრაინისთვის არჩევანის თავსმოხვევაში" დაადანაშაულა.

ლავროვი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც „უკრაინელების უმრავლესობას სურს, თავისუფლად იცხოვროს უსაფრთხო და აყვავებულ ქვეყანაში".

ლავროვმა იკითხა, რა კავშირშია ქუჩის პროტესტის გალვივება, რომელიც „თანდათან უფრო და უფრო ძალადობრივ ხასიათს იღებს", დემოკრატიის პრინციპებთან.



„რატომ არ ისმის დაგმობა მათი მისამართით, ვინც იჭრება და დღემდე ადმინისტრაციულ შენობებში იმყოფება, თავს ესხმის პოლიციელებს, ვინც რასისტული, ანტისემიტური და ნაცისტური ლოზუნგებით გამოდის", – განაცხადა ლავროვმა.

„კრემლი უკრაინის გახლეჩისთვის ემზადება, სწორედ იმ სცენარით, რომელიც მან საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში განახორციელა", – განცხადება ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ანდრეი ილარიონოვმა გააკეთა.

მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ რუსეთის ტელევიზიის ეთერში ისეთმა სპიკერებმა, როგორებიც არიან ვლადიმერ ჟირინოვსკი, სერგეი გლაზნევი და სერგეი დორენკო, არაერთგზის გააკეთეს მოწოდება იმის შესახებ, რომ კიევში ოპოზიციის აქციები ძალის გამოყენებით ჩაეხშოთ.

„უკვე აღარავინ არ მალავს, რომ ღია პროპაგანდა მიმდინარეობს, მომზადება უკრაინის საქმეებში რუსეთის ჩარევის შესახებ", – აცხადებს ილარიონოვი.

ის აღნიშნავს, რომ კრემლს ვიქტორ იანუკოვიჩის სანდოობაში ეჭვი ეპარება და მის ალტერნატივად მოიაზრებიან ანდრეი კლიუევი და ვიქტორ მედვედჩუკი.

„კრემლმა თავი დაანება მხოლოდ იანუკოვიჩზე ორიენტაციას. ალბათ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ის მაინცდამაინც სანდო არ არის. მოქმედებები ხორციელდება იმის მიუხედავად, თუ როგორია იანუკოვიჩისა და რეგიონების პარტიის პოზიცია", – ამბობს პუტინის ექსმრჩეველი.

მისივე თქმით, ბოლო დროს უკრაინის მიმართ ასეთი თეზისი ვითარდებოდა: „მთავარია მიაღწიო და გადაიტანო ოლიმპიადის დაწყება".

„შემდეგ კი უცხოელი სტუმრები ან წავლენ ან ძალიან უმნიშვნელო რაოდენობით დარჩებიან. მთავარი გადაწყვეტილებები მაქსიმუმ 10 დღის განმავლობაში იქნება მიღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინა შესაძლოა კრიზისიდან გამოვიდეს და გამაგრდეს. ბოლოს და ბოლოს, შემდეგ უკვე დასავლეთის ყურადღება შესაძლოა უფრო მეტი იყოს უკრაინის მიმართ, ვიდრე ახლა", – ხსნის ილარიონოვი რუსეთის ხელისუფლების ლოგიკას.

მისივე თქმით, კრემლი უკრაინის მიმართ 4 სცენარს განიხილავს.

პირველი – სრული კონტროლი მთელს უკრაინაზე იმ პირის დახმარებით, რომელიც მთელ ქვეყანაში ნდობით სარგებლობს. „მაგრამ ეს ვარიანტი ნაკლებსავარაუდოა ახლა", – ამბობს ილარიონოვი.

მეორე – „მთავარი ვარიანტი, რომელზეც ხდება ძალების უმეტესი ნაწილის კონცენტრირება – უკრაინის ფედერალიზაცია ან კონფედერალიზაციაა. ადამიანები, რომლებიც ასე თუ ისე კრემლთან არიან დაკავშირებულნი, გამუდმებით ამ ვარიანტზე საუბრობენ. მისი მიზანი კი მდგომარეობს იმაში, რომ დაამყარონ კონტროლი უკრაინის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილზე", – აცხადებს ილარიონოვი.

მესამე – „ეს ვარიანტი ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება კონტროლის დამყარება მთელ სამხრეთ აღმოსავლეთზე. მაშინ შეეცდებიან, კონტროლი დაამყარონ ყველაზე მეტად მნიშვნელოვან რაიონებზე. პირველი კანდიდატები არიან ოდესა, ნიკოლაევი, ლუგანსკი, დონეცკი, ხარკოვის ოლქი და ყირიმი", – ამბობს ილარიონოვი.

მეოთხზე – კრემლი მხოლოდ სევასტოპოლზე შეჩერდება. უკრაინის ერთადერთ რეგიონზე, სადაც რუსი მოსახლეობის წონა რეგიონის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტია. ადრე ამ ვარიანტს კერძო განცხადებებში ახმოვანებდნენ, ახლა კი ის აქტიურად განიხილება ტელეეთერითაც. აცხადებენ, რომ უკრაინა შეუმდგარი სახელმწიფოა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ „ისტორიული შანსი რუსეთთან მიერთების" შესაძლოა რამდენიმე კვირის შემდეგ დაიხუროს, ამიტომაც ამ საკითხის გადადება არ შეიძლება", – ამბობს ილარიონოვი.

მისივე თქმით, ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს იმ სიტუაციას, როდესაც 2008 წლის ზაფხულში რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ახლა შეიძლება საქართველოსგან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის გამოყოფას მიაღწიოს.

მაშინ საიდუმლო ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ ამის შესაძლებლობების ფანჯარა 2008 წლის ბოლომდე იყო. ეს პეკინის ოლიმპიადის დრო იყო.

ილარიონოვი ასევე იხსენებს იმას, რომ 2008 წელს „ნატო-უკრაინის სამიტზე ვლადიმერ პუტინმა ბუქარესტში განაცხადა, რომ უკრაინა ეს ისტორიული გაუგებრობა და რუსულ მიწებზე შექმნილი სახელმწიფოა".

ილარიონოვმა ასევე გააკეთა კომენტარი მაიდანის აქტივისტების განცხადებებზე იმის შესახებ, რომ უკრაინაში რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები უკვე ჩასული არიან.

„უკრაინა უკვე აღიქმება, როგორც მომავალი საბრძოლო მოქმედებების თეატრი. იქ უკვე გადადიან სპეციალური დანაყოფები, რომლებიც სერიოზული ოპერაციების დაწყებამდე უნდა იყვნენ იქ.

ცხადია, რომ თანამედროვე უკრაინა ეს საქართველო არ არის და არც კოსოვოში აეროპორტის დაკავება. უკრაინა უფრო დიდი ქვეყანაა და მის მიმართ უფრო ნატიფი საშუალებები იქნება გამოყენებული – თავად უკრაინულ ძალას და პოლიტიკოსებს გამოიყენებენ", – მიიჩნევს პუტინის ექსმრჩეველი.

# ადამიანის რეაქციის სისწრაფის მიხედვით სიკვდილის დროის გამოცნობა შეიძლება



შუა ასაკის ადამიანის შენელებული რეაქცია მომატებული სიკვდილის რისკის ნიშანია და ეს გარდაცვალება შეიძლება უკვე 15 წლის შემდეგ მოხდეს, – აცხადებენ ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯისა და ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერები. ასე რომ, რეაქციის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, შენელებული რეაქცია სიკვდილის რისკს 25%-ით ზრდიდა, – წერს „ბიზნეს სტანდარტი".

შესაბამისი კვლევის ხელმძღვანელი, დოქტორი გარეტ ჰაგერ-ჯონსონი შემდეგ კომენტარს აკეთებს: „რეაქციის სისწრაფე ცენტრალური ნერვული სისტემის ძირითადი ელემენტის მდგომარეობას ასახავს, ხოლო ინფორმაციის დამუშავების სიჩქარე საბაზისო კოგნიტურ შესაძლებლობად ითვლება. უფროს ასაკში რეაქციის დროულობაზე ჩატარებულ უბრალო ტესტს, სქესის, ასაკის, ეთნიკური კუთვნილებისა და სოციალურ-ეკონომიკური ბაზის მიუხედავად, გარდაცვალების ალბათობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლია".

როგორც დამტკიცდა, ადამიანები, რომლებიც ახალ ინფორმაციაზე საპასუხოდ შედარებით ნელ რეაქციას იჩენენ, მომავალში სავსებით შეიძლება სხვა პრობლემებს შეეჯახონ. ეს პრობლემები კი ნაადრევი სიკვდილის რისკს გაზრდის.

# ექსპერტი: კოფეინზე დამოკიდებულება ნარკომანიის სოციალურად მიღებული ფორმაა



ამაში დარწმუნებულია პროფესორი ლაურა ჯულიანო. ბევრ ადამიანში დამოკიდებულება იმდენად ძლიერია, რომ შეწყვეტის სინდრომის ნიშნები ფიქსირდება და მათ კოფეინის შემცველ სასმელთა მოხმარების მოცულობის შემცირება, უბრალოდ, არ შეუძლიათ, – წერს „დეილი მეილი".

ამასთან, ადამიანებს ვერ აშინებთ ორსულობა, გულის ავადმყოფობები ანდა სისხლდენა, რაც კოფეინის მოხმარებასთან ცუდად შეთავსებადია. ფსიქოლოგები მოუწოდებენ, რომ „კოფეინის აშლილობას" სერიოზულად მიუდგნენ და ადამიანებს მკურნალობის შესაძლებლობა მისცენ. სხვათა შორის, გასულ წელს ფსიქიატრების ამერიკულმა ასოციაციამ „კოფეინაშლილობა" რეალურ პრობლემად აღიარა.

კოფეინის რეგულარულად მომხმარებელი ადამიანების 50%-ზე მეტი აღნიშნავს: უჭირთ უარის თქმა ან მოხმარების ოდენობის შემცირება. თუ კოფეინზე დამოკიდებული ადამიანი ვერ იღებს თავის ულუფას, მას შეწყვეტის სინდრომი წარმოექმნება – თავის ტკივილები, დაღლილობა, კონცენტრაციის პრობლემები, გაციების შეგრძნება, ღებინება და კუნთების ტკივილი.

ექსპერიმენტმა აჩვენა: ადამიანების 50%-ზე მეტი თავის ტკივილებით იტანჯებოდა, როდესაც მათ ყავაზე უარს ეუბნებოდნენ, ხოლო 13%, კოფეინის დოზის გარეშე თავს იმდენად ცუდად გრძნობდა, რომ ნორმალურად მუშაობა არ შეეძლო. ექიმები ჯანმრთელ ადამიანებს ურჩევენ, რომ დღეში 400 მილიგრამზე მეტი კოფეინი (2-3 ჭიქა ყავა) არ მოიხმარონ. ასევე კოფეინი უნდა შეამცირონ ადამიანებმა, რომლებსაც აწუხებთ შფოთიანობა, უძილობა, მაღალი წნევა, გულის დაავადებები.

კოფეინი (ასევე ეწოდება თეინი, მატეინი, გურანინი) – პურინის გვარის ალკალოიდია.

კოფეინს შეიცავს ისეთი მცენარეები, როგორიცაა ყავის ხე, ჩაი, მატე, გუარანა, კოლა და სხვ. დიდი დოზით მიღება იწვევს დამოკიდებულებას - კოფეინიზმს. სუფთა სახით კოფეინი პირველად 1828 წელს მიიღეს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# სამგლოვიარო განცხადებები



შვილი ანდრია, დედა ვიკა სულავა, მამა ნუგზარ სულავა, ძმა ირაკლი, და სოფო, დისწული მარიამი, ძმისწულები მარიამი და გიორგი, სიძე ირაკლი კიზირია, რძალი თამუნა სულავა, ბებია ლამარა გიორგაძე, ბიძები: გურამ, თამაზ, სოსო, მამუკა სულავები, მამიდები: ლალი, ნანა სულავები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კარლო (კოკა) ნუგზარის ძე სულავა**

პანაშვიდი 3 თებერვალს;
დაკრძალვა 4 თებერვალს, 14 საათზე;
მის: გლდანის მე-2 მიკრორაიონი, 43-ე კორპუსი.
გამოსვენება: გლდანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან. ქერჩის ქუჩა №22.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა
ორშაბათი 3 თებერვალი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ვინეტუ და აპანაჩი"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 19.20 "ქართული ჯარი" 21.00 ტ/სერ. **"კარგი ტიპები"** 22.00 სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 23.30 "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) 00.30 მხ/ფ **"დათქმული დრო"**

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "დიდი ბრიტანეთი" 08.00 მხ/ფ **"უცოლო"** (რ.ზელვეგერი) 09.45 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "კარიბის კუნძულები" 10.15 მხ/ფ **"მიფრთხილდი ლა ტურ"** 11.45 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "მექსიკა" 12.15 მხ/ფ **"გაალეთ" პლიციაა!"** 14.00 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე)თ 14.40, 15.05 იუმორინა (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 მხ/ფ **"განვედი"** 23.30 EMERGENCY– სასწრაფო დახმარება 00.30 მხ/ფ **"ლუდი ჩემი ცხენებისთვის"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 შიშის ფაქტორი 02.00 მხ/ფ 04.00 კურიერი დაიჯესტი

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 მხ/ფ **"დიდი ქალაქის ჩირაღდნები"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.40 კვირიაკე 11.50 ქვიშით ნაამბობი 12.10 მხ/ფ **"ვალსი პეჩორაზე"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "ტაოკლარჯეთი"I ნაწ. 15.30 სპექტაკლი - **"ძველი ვოდევილები"** 17.40 ეთნოგრაფია 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.30 მხ/ფ **"ჩემი ბებია"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი 21.25 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ "წმინდა მაქსიმე აღმსარებელი" 22.40 დოკ/ფ "საპოვნელა" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან 23.40 დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნეოფიტე" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

მაესტრო 7.00, 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 5.30, 6.30 ფარული კამერა 8.00, 9.15 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ `სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30 `ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 "მონიტორის გამოძიება" (გამ.) 14.30, 1.45, 4.30 NX სპიკერი 16.00 **სერიალი `სიყვარული და სასჯელი"** 19.00 **სერიალი `აკრძალული სიყვარული"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


3 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,7824 | ევრო — 2,4130 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,9319 | 100 რუსული რუბლი — 5,0665 |

**ამინდის პროგნოზი 3 თებერვლისთვის**




## ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 3 თებერვლისთვის

**შემოქმედებითი დღეა**

**ვერძი** – დღეს თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** – რომანტიკული თავგადასავლი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** – გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს მოჰკიდებთ ხელს, კმაყოფილი დარჩებით. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ, სხვები გბაძავენ. **ქალწული** – არ იდარდოთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **სასწორი** – ცხოვრებას გაიხალისებთ, ამაში მეგობრები დაგეხმარებიან. **ღრიანკალი** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **მშვილდოსანი** – ცხოვრების შეცვლა გინდათ, ამაში ვერავინ დაგეხმარებათ. **თხის რქა** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგდით ხელიდან. **მერწყული** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით და საჭირო ინფორმაციასაც მიიღებთ. **თევზები** – თავს დაჩაგრულად გრძნობთ, ამის მიზეზი არ გაქვთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება რიგ არმიებში; 4. ჩოგბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. შხამიანი გველი; 9. საგრილობელი; 12. ქრისტიანული მღვდელმსახურების დროს ხმარებული სურნელოვანი ზეთი; 13. ... კუროსავა; 14. მოდუღებული ყურძნის წვენი; 17. რუსი კომპოზიტორი (XIX ს.); 18. ზეთოვანი მცენარე; 19. წითელი ხავერდის საზეიმო მოსასხამი მეფეებისთვის; 20. ზნეობა.

**შვეულად:** 1. უგონო მდგომარეობა; 2. რუსეთის ფულის ერთეული; 3. ქალაქი იტალიაში; 4. ხომალდის ტვირთი; 5. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 6. საგნის პირუკუ გამოსახულება ფირზე (შავი-თეთრად და პირიქით); 8. კალიფორნიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. შავყურძნოვანი ვაზის ჯიში; 11. დღესასწაული-მასკარადი ღია ცის ქვეშ; 14. შეძახილი „ვაშა!" იაპონურად; 15. თმის სუროგატი; 16. ზეგანი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




# მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

## „ახალ თაობასთან" ერთად

# საქართველოს ისტორია

## საერო და საეკლესიო რუკების მიხედვით


## დავაბრუნოთ ქართული კინო სამშობლოში!

ეკა ირემაშვილი

სოციალურ ქსელში შეიქმნა სპეციალური გვერდი, რომელიც მოუწოდებს საზოგადოებას ქართული კინოს გადასარჩენად გაერთიანდნენ. ამისთვის შემუშავდა პროექტი „ქართული კინემატოგრაფიული მემკვიდრეობა", რომელიც რუსეთიდან საქართველოში ქართული კინოს დაბრუნებას ისახავს მიზნად:

– დრო არ იცდის! ქართული კინო, რომელიც მსოფლიომ ფენომენად აღიარა, საქართველომ ზრუნვის, დაცვის, პოპულარიზაციისა და ყურადღების გარეშე დატოვა. სამწუხაროდ, დღეს ეს ჩვენი რეალობაა...

მოსკოვის არქივებში დაცული და რუსეთის ფედერაციის მიერ სამუზეუმო ექსპონატებად გამოცხადებული ქართული ეროვნული კინოფონდი (835 სრულმეტრაჟიანი, მოკლემეტრაჟიანი და ანიმაციური ფილმი), გადაღებული 1991 წლამდე, საქართველოსგან მიტოვებულია!

ამ ფონდის საქართველოში დაბრუნება თითოეული ჩვენგანის ვალია ქვეყნისა და მომავალი თაობების წინაშე! პროექტი „ქართული კინემატოგრაფიული მემკვიდრეობა", რომელიც სამშობლოში ეროვნული კინოს დაბრუენების რეალური გზა არის სრულფასოვნად არის გამზადებული.

გაგრძელება მე-7 გვერდზე


# 6 თებერვლიდან

## „ახალ თაობასთან" ერთად

გაიყიდება

# „შავი ვარდი"





## ოთარ იოსელიანი 80 წლისაა

ეკა ირემაშვილი



საფრანგეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი რეჟისორი ოთარ იოსელიანი იუბილარია. მას 80 წელი შეუსრულდა. ხელოვანის იუბილესთან დაკავშირებით მილოცვის წერილი გაავრცელა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელშიც წერია:

– ვულოცავ 80 წლის იუბილეს მსოფლიო სახელის რეჟისორს, გენიალურ შემოქმედს – ოთარ იოსელიანს.

ოთარ იოსელიანის ფილმები სრულიად განსხვავებული ხელწერითა და ორიგინალური სტილით მსოფლიო კინემატოგრაფიის საკუთრებადაა აღიარებული. უკვე წლებია, ქართველ რეჟისორს განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპულ კინოში. როგორც თავად ამბობს, საქართველოსა და ევროპას შორის კულტურული ველი საერთოა და ამიტომაც არის გასაგები და მისაღები მისი ფილმები ევროპელებისათვის.

ოთარ იოსელიანის ნიჭიერების საყოველთაო აღიარებაა უამრავი ჯილდო, რომელიც მას მიენიჭა, მათ შორის, მსოფლიო კინოს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## როდის დააბრუნებენ სოფიკო ჭიაურელის გმირებს სიონის სკვერში?

ეკა ირემაშვილი

ქართული კინოსა და თეატრის ლეგენდის – სოფიკო ჭიაურელის ბიუსტი გაძარცვეს. თბილისის შუაგულში, სიონის სკვერში განთავსებული სკულპტურიდან დამნაშავემ ფუფალას ძეგლი მოიპარა. ფუფალა თენგიზ აბულაძის გახმაურებული ფილმის „ნატვრის ხის" ერთ-ერთი გმირია.



კომპოზიციას აკლია მსახიობის მიერ განსახიერებული მეორე გმირიც – მრეცხავი ვარდო გიორგი შენგელაიას ასევე გახმაურებული ფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები", თუმცა ეს ქანდაკება დაკარგული არ არის. ის თბილისის მერიის მიერ იქნა მოხსნილი, რადგან დაზიანებული იყო და რესტავრაციას საჭიროებდა.

ფუფალას მოპარვის გამო, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ცხელ კვალზე დანაშაულიც გაიხსნა. სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს პიროვნება, რომელიც წარსულში ნასამართლევი აღმოჩნდა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ბრალდებულმა ქანდაკება 31 იანვარს, გამთენიისას მოიპარა. დამნაშავემ ჩადენილი დანაშაული აღიარა, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის სარდაფის ჩხრეკისას კი ნაქურდალი სკულპტურა ნივთმტკიცებად იქნა ამოღებული.

სოფიკო ჭიაურელის ბიუსტის ავტორი მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძეა. სიონის სკვერში განთავსებულ ბიუსტს მსახიობის მიერ განსახიერებული ოთხი დაუვიწყარი გმირის – ფუფალას, მრეცხავი ვარდოს, მეეზოვისა და კინტაურის სკულპტურებიც ახლდა. ამჯერად სიონის სკვერში მხოლოდ ორი სკულპტურაა დარჩენილი. როგორც ცნობილია, მსახიობმა თავისი თეატრალური და კინო მოღვაწეო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


www.abdiibrahim.com.tr

ბენეტი
ორალური სპრეი

ბენეტი პლიუსი
ორალური სპრეი



ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ღეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში
- აქვს სასიამოვნო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112.
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDIIBRAHIM



ბენეტი
ბენზიდამინი

ბენეტი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი